საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 19 დეკემბერი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი**, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **15 მანეთი**, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) **500 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4**, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 290 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 290

ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომ ორი წლის თავის აღსანიშნავად 19 დეკემბერს, კვირას 12 საათზე ძმათა სასაფლაოზე შეიკრიბებიან ამხანაგები

ეკატერინეფელდთან გმირულად დაღუპულ თავისუფლებისთვის მებრძოლ სახალხო გვარდიელების ხსოვნისათვის

(ნ. 2—2)

საქ. დემ. რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აუწყებს ამხანაგებს, ორგაიიზაციებს, საზოგადოებას, რომ 1920 წელს 19 დეკემ. სრულდება ორი წელი

ეკატერინეფელდის ისტორიულ ომის, სადაც გმირულად დაიღუპენ ტფილისის სახალხო გვარდიელები

მეორე წლის მოგონების აღსანიშნავად ძმათა სასაფლაოზე, კვირას, 19 დეკემბერს, 12 საათზე, შეიკრიბებიან ამხანაგები.

(ნ. 2—2)

ქვრივი ელენე მაისურაძისა, შვილებით და სიდედრი დესპინე ცერცვაძისა და სონა ნაბიჭვრიშვილისა აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს რომ კვირას, 19 დეკემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია სახალხო გვარდიის თავმჯდომარის ამხანაგის

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე დაღუპვის ორი წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე).

(ნ. 2—2)

შაქრო და ანნა ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს რომ კვირას 19 დეკემბერს შუადღისას 12 საათზე დანიშნულია მათთვის დაუვიწყარი პირველის ცოლის ძმა, მეორესი ძმა

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე დაღუპულის სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე). (ნ. 2—2)

ძმა ლევანი, რძალი მარუსია მაისურაძეები და და სონა ნაბიჭვრიშვილი აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 19 დეკემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპვის 2 წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე. (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე).

(4037—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ანიჩკა ესეს ასული და თეოფილე ოსიფის ძე რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ საყვარელი მამიდაშვილის შვილის და დაუვიწყარი მეგობრის

იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (4056—1—1)

გულდაწყვეტილნი სოფიო ჩუბინიძე, ნიკოლოზ იოსების ძე მჭედლიძე, ვარვარა ივანეს ასული მჭედლიძე: იოსებ, ვახტანგ გრიგორის ძეები და მარიამ გრიგორის ასული მჭედლიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი დედისა, მეორე მეუღლის, მესამე რძალის და მეოთხენი მაზლის შვილის ძვირფას და დაუვიწყარ

ნინო სოლომონოვის ასული მჭედლიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება, კვირას 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან სოლოლაკი, პრიგოლოჩნი ქ. № 24 დაკრძალვა ამაღლების ეკლესიაში. (4055—1—1)

კვირას 19 დეკემბერს ფოთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

სამსონ იგივე (ფუხუ) ტაგუს ძე ღოღუას

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და მისი მარგარიტა და სიძე ილარიონი მიქელაძენი

დიდათ დამწუხრებულნი: ივანე ფირანის ძე, კატო ელიზბარის ასული, ბორია და ლუსია ჩხენკელები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროვოდ დაკარგვას: პირველი დაუვიწყარი ცოლის დისა, მეორე საყვარელი დისა და დანარჩენი ძვირფას დედისა

ანნა (ანიჩკა) ელიზბარის ასული კაკაბაძისას

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირას 18 დეკემბერს ა. წ. ქალაქ ხონში.

გულ დამწვარნი: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, მაშო ელიზბარის ასული, შოთა და თინიკო ფიფიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ უდროვოდ დაკარგვას; პირველი დაუვიწყარი ცოლის დისა, მეორე საყვარელი დისა და დანარჩენნი ძვირფასი დედისა

ანნა (ანიჩკა) ელიზბარის ასული კაკაბაძისას

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირას, 19 დეკ. ა. წ. ქახონში.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფიზო; ძმები: ალექსანდრე, ვალოდია და მიშა; დები: მაშო, კატო, ლიპა და ლოლა და რძალი ნადია კაკაბაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ უდროვოდ გარდაცვალებას; პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დაუვიწყარი დისა

ანნა (ანიჩკა) ელიზბარის ასული კაკაბაძისას

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირას, 19 დეკემბერს ა. წ. ქ. ხონში.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მირიან ბესარიონის ძე უნგიაძე, შვილი ნოე და ნანა აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს მათვის ძვირფასის და დაუვიწყარი

ლიუდმილა ნოეს ასულის

გარდაცვალების ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ნინოს ეკლესიაში კვირას, 19 დეკ. თერთმეტ საათზე.

ქალაქის შრომის ბირჟა

ამით აცხადებს ყველა დამქირავებელთა, როგორც კერძო პირთა, ისე საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა საყურადღებოთ, რომ შრომის ხელშეკრულობის კანონით, რომელიც მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ, მიღება მუშათა და მოსამსახურეთა სწარმოებს

მხოლოდ შრომის ბირჟის შუამავლობით

ყოველი მოთხოვნილება მუშებისა და მოსამსახურეების უნდა იყოს აუცილებლათ მიმართული შრომის ბირჟაში, სადაც მასთან ერთად მოხსენებულ უნდა იქნეს შრომის ხელფასიც. იმ შემთხვევაში, თუ კი დამქირავებელნი მიიღებენ მათ გარეშე შრომის ბირჟისა, მაშინ ასეთები მიეცემიან პასუხისმგებლობაში, თანახმად შრომის ხელშეკრულობის კანონისა. გარეშე შრომის ბირჟისა შესაძლებელია მიღებული იქნას ის პირები, რომლებიც ასრულებენ გამგებლობისა, მართველობისა, კანტროლისა და ქონების შენახვის ცალკე პასუხსაგებელ მოვალეობას, ხოლო დამქირავებელნი ვალდებულნი არიან საჩქაროთ აცნობონ შრომის ბირჟას ასეთ დაქირავებულის ვინაობა. (ნ. 2—2)

სამთო-სატეხნიკო კურსები

გაიხსნება 20 დეკემბერს საღამოთი, რასაც სამთო-მადნო სამმართველო აცხადებს მსმენელების საყურადღებოთ. თხოვნების მიღება გრძელდება 20 დეკემბრამდე. მიღებულების სია გამოცხადებული იქნება ორშაბათს დილით. ცნობების მიღება სამმართველოდან ყოველ დღე 10—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 10 ტელეფ. 2—44.

სამთო-მადნო სამმართველოს უფროსი ივ. ყიფშიძე.

(4042—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, დეკემბრის 19-ს

მესამედ სიცრუე მორიგი რეჟისორი ნ. გამრეკელი-თორელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სამშაბათს, დეკემბრის 21-ს

მეოთხედ ბერდო ზმანია რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 19 დეკემბერს,

„ფრა-დიავოლო“

ორშაბათს, 20 დეკემბერს **ქეთო და კოტე**, სამშაბათს, 21 დეკემბერს, **ბალეტის საღამო.** მორდკინის „კარნავალი“. ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, **გუგენოტი.** დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

რესპუბლიკის თავდაცვის ფონდი

განმეორებით აცხადებს, რომ შემოწირულებანი ფულით და ძვირფასი ნივთეულებით მიიღება სახელმწიფო ბანკში ბ. ს. კილაძესთან. ფონდის მთავარი გამგეობის მისამართი: სასახლე, ოთახი 29 ტელ. 8—16. (2—1)

ოცი დეკემბრიდან ტფილისში ყოველ დღე 3 საათზე გამოვა საინფორმაციო გაზეთი

„მოამბე“

გაზეთებში მოთავსებული იქნება ფართო ინფორმაცია, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. გაზეთში იქნება აგრეთვე ლიტერატურულ-იუმორისტული განყოფილება, გაზეთზე ხელის მოწერა არ მიიღება. გაიყიდება ხელზე. გაზეთის თითო ნომერი ღირება 15 მანეთი. რედაქციის დროებითი მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 5 ალ. არაბიძეს—„მოამბისათვის“.

(ნ. 1—1)

უმორჩილესად ვთხოვ იმ პირს, რომელსაც ალბათ, შეცდომით წაუღია შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ

დავით როსტომაშვილის

ბინიდან დიდი ფორმატის პაკეტი, რომელიც იყო გრიგოლა გაწერელიას სახელზე ლონდონიდან გამოგზავნილი, დამიბრუნოს შემდეგის მისამართით: ანასტასიევის ქუჩა № 7, გ. ა. გაწერელიას.

რკინის გზელთა მომავალი ყრილობა

25 დეკემბრისათვის მოწვეულია რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობა. რევოლიუციის დასაწყისიდან რკინისგზელთა ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი პასუხსაგები წამი, როგორც დღეს. რკინისგზელთა არც ერთი ყრილობა არ შეკრებილა იმისთანა რთულ გარემოებებში, როგორშიაც იკრიბება 25 დეკემბერს. შეთქმულობის და შეიარაღებული აჯანყების მეთოდებში სამარცხვინოდ გაწბილებული და იმედ დაკარგული კომუნიზმი სხვა გზას ირჩევს ჩვენი დემოკრატიის ასაფეთქებლად, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსასპობათ და საქართველოში უცხო ძალის გასაბატონებლად.

რუსეთის ხაზინიდან მიღებული აუარებელი თანხების საშუალებით კომუნისტების აგენტები ქსელს აბამენ სხვადასხვა პროფესიონალურ კავშირებში, პირდაპირი და არა პირდაპირი მოსყიდვით ეწევიან აგიტაციას ამ კავშირების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და ცდილობენ მუშებ შორის უნდობლობა გააცხოველონ მათ მიმართ. კომუნისტურ პარტიას მეტადრე რკინის გზელთა კავშირზე აქვს მიპყრობილი თავისი ყურადღება. მან კარგათ იცის, რომ რკინის გზის მუშები ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დედა ბოძია, იცის, რომ ამ დედა ბოძის გამოცლით ჩვენი რესპუბლიკა უფრო ადვილათ დაინგრევა, და სწორეთ ამით აიხსნება ის გააფთრებული კამპანია, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ გააორკეცა სწორედ ყრილობის წინ.

მაღალი შეგნება, დიდი პოლიტიკური სიფრთხილე და გამჭრიახობა დასჭირდებათ რკინისგზელებს, რომ შესაფერი პასუხი გასცენ იმ აღვირ წახსნილ დემაგოგიაზე, რომელსაც ეწევიან კომუნისტები. სასურსათო კრიზისი და მსოფლიო ნგრევით გამოწვეული ყოველმხრივი გაჭირვება ბევრს მასალას აძლევს ჩვენი დემოკრატიის მტრებს მის მიერ აგებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. შიმშილ-წყურვილიც და ყველანაირი გაჭირვებაც დიდია ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის კრიტიკა ადვილი ხდება. მაგრამ პროლეტარიატის ფართო წრეებში მკვიდრათ და აღმოუფხვრელად უნდა გაიდგას ფესვები ერთმა მოსაზრებამ: ის პარტია, რომელიც დღევანდელის ხელმძღვანელების პოლიტიკას იწუნებს, რომელიც მათ წინააღმდეგ ამხედრებს ხალხს, მოვალეა გვიჩვენოს ის გზა, რომელიც ხსნას მოგვიტანს, რომელიც გამოგვიყვანს მსოფლიო მიზეზებით შექმნილი დღევანდელი კრიზისიდან; თუ ეს პარტია არ გვიჩვენებს ამ გზას, თუ მას არაფერი საშველი ხალხისათვის არ გააჩნია, და მაინც აჯანყებისაკენ მოუწოდებს ხალხს, ეს იმისი საუკეთესო ნიშანია, რომ იგი მოქმედობს ქვენა განზრახვებით, რომ იგი ხალხის კეთილდღეობით კი არ არის ამოძრავებული, არამედ რაიმე სხვა მიზნებით, რომლებსაც მსხვერპლად უნდა შესწიროს ხალხის სარგებლობა, მისი კეთილდღეობა.

კომუნისტების დემაგოგიის წინააღმდეგ ჩვენს დემოკრატიას აქვს ერთი საუკეთესო, მკვეთრი და უძლეველი საშუალება: როდესაც კომუნისტები ფარისევლურად გაჰკვივიან ხალხის გაჭირვებაზე, შიმშილზე, სიცივეზე, როდესაც ისინი დემოკრატიული პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებენ ხალხს და კომუნიზმისაკენ მოუწოდებენ, საკმარისია ერთი რამ ვკითხოთ მათ: როგორ მდგომარეობაში არიან მუშები და გლეხები იმ ქვეყანაში, სადაც სამი წელიწადია რაც კომუნისტური მთავრობაა გაბატონებული? განა მუშათა კლასი, პროლეტარიატი არ განიავდა, არ გაქრა საბჭოთა რუსეთში? განა ქალაქებში დარჩენილი ერთი მუჭა მუშა-ხალხი შიმშილით სულს არ ლაფავს? განა მთელი რუსი ხალხი გადაშენების გზაზე არ არის დამდგარი შიმშილ სიცივისაგან? განა იქ რკინის გზა მთლად არ არის დანგრეული? განა ნავთის სამეფოში—ბაქოში—ხალხი უნავთობით არ იტანჯება და ერთი გირვანქა ნავთის მისაღებათ 9—10 საათობით რიგში დგომა არ უხდება? რა უფლებით იწუნებენ საქართველოს წესებს და რა სინდისით მოგვიწოდებენ იმ მართლად ჯოჯოხეთური წესებისაკენ, როგორიც კომუნიზმის სამფლობელოშია გამეფებული?

კომუნისტებთან საბრძოლველად საკმარისია ეს მეთოდი: მუშების ფართო წრეებმა უნდა ნათლად გაითვალისწინონ, რა „სამოთხისაკენ“ გვეპატიჟებიან კომუნისტები. ამ შედარებითი მეთოდის საშუალებით ადვილი შეიქნება დაფასება იმ საუნჯისა, რომელიც მუშათა კლასმა შეიძინა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. მომავალი ყრილობა სიფრთხილით მოეპყრობა ამ საუნჯეს, უნდობლად შეხვდება ყოველს ნაბიჯს, რომელიც მის წინააღმდეგ იქნება მიმართული, და რკინის გზის მუშების დემოკრატიული შეგნების ჯავშანს დაუხვედრებენ ყოველს დემაგოგიას, რომლის მიზანიც იქნება ჩვენი რესპუბლიკის დასუსტება და ჩვენს დემოკრატიაში არევ დარევის შეტანა.

დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა, დემოკრატიული გზის განმტკიცება, ალაგმვა ყველა იმ ძალებისა, რომლებიც დემოკრატიზმის წინააღმდეგ არის მიმართული, აი ის მთავარი ლოზუნგი, რომლითაც უნდა ჩაერიონ საარჩევნო კამპანიაში შეგნებული რკინის გზელები.

ეკატერინენფელდის გმირებს

(2 წლის თავის გამო).

ის იყო გმირული ბრძოლა და შეუპოვარი თავდადება! ის იყო საბედისწერო, გადამწყვეტი შეტაკება და თავგანწირული დაცვა საქართველოს დამოუკიდებლობის.

შინ ინგლისის ახლად მოსული გამარჯვებით გაბრუებული სარდლობა გვისხდა, გარედან მუხანათური, ინგლისზე დაიმედებული დროს რაზმები გვიტევდა. ჩვენ კი მეზობლისგან მუხანათობის არ მომლოდინენი სათანადოთ მომზადებული არ ვიყავით.

დიდმა და მოულოდნელმა საფრთხემ შეანძრია ხალხის გული, მისი ტრადიციული ვაჟკაცობა და ეროვნული ენერგიის წყარო აჩუხჩუხა.

დემოკრატია აღუდგა დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვართა დასაცავათ. განახლებულ საქართველოს, ჯერ კიდევ ნახევარი წლის ჰაბუკს, მისი ერთგული შვილები „შევარდნებივით ამოუდგნენ გვერდში.

პირველი და მთავარი სიმძიმე გადამჭრელი ბრძოლისა ჩვენს სახელოვან გვარდიას ხვდა წილად.

და მისი რაზმები მთელი შტაბით გაეშურენ იქით, სადაც საფრთხე მოძალებული იყო.

19 დეკემბერს გაიმართა სახიფათო, საშინელი და შეუბრალებელი ბრძოლა ეკატერინენფელდთან. უკან აჯანყებული სოფლები, ლამე ქურდულათ თავდასხმული მტერი,—ასეთი იყო სურათი.

და ამ არახელსაყრელ პირობებს უმკლავდებოდა გვარდიის გმირული სულისკვეთება, მისი რევოლიუციური აღფრთოვანება, მისი შეუდრეკელი უშიშრობა და თავდადება. და რევოლიუციურმა ძალამ სძლია თავდამსხმელ მუხანათებს.

აქ ტფილისი მოსულ უცხო ჯარების სარდლობის წინაშე თავის პოლიტიკურ პოზიციებს იცავდა, იქ, ეკატერინენფელდში გვარდია რევოლიუციურ მონაპოვარს ედგა დარაჯათ.

19 დეკემბერმა გადასწყვიტა ბედი საქართველოს დამოუკიდებლობის. მან გადაჰრა მომავალი ტფილისის და ამით საქართველოსი.

მან გზა გაუკაფა იმ ახალგაზრდა მხნე ჯარს, რომელიც თავისუფალ მოხალისეების, თუ მობილიზაციით გამოწვეულების სახით შემოერტყა გარს ჩვენს მთავრობას.

მსხვერპლნი ეკატერინენფელდის ბრძოლის, სანდრო მაისურაძე და მისი 30 ამხანაგები, რომელნიც საძმო სასაფლაოზე განისვენებენ, სისხლის ცემენტი იყო ახალგაზრდა რევოლიუციური ქართული ჯარის შემდუღებელი, არმიათ გამომჭედი.

აქედან ჩაეყარა საფუძველი არმიის მტკიცე წყობილებას და მის გვარდიასთან დამმობილებას.

სისხლის ემბაზში გაიწმინდა ის ბოროტი ენით შექმნილი უნდობლობის ატმოსფერო, რომელსაც ქმნიდენ ამ ორ შეიარაღებულ ძალის ერთმანეთისგან დასაშორებლად.

და დღეს, როცა ჩვენ ისევ ამ ბორჩალოს მიდამოებში ვდგავართ იარაღით ხელში, როცა მრავალი მონაწილე ორი წლის წინანდელ ბრძოლის კვლავ იქვეა დარაზმული, რომ დაიცვას ჩვენი საზღვრები, განსაკუთრებით საჭიროა მოგონება ამ პირველი გმირების, განსაკუთრებით აუცილებელია მათ საფლავს მივხედოთ. იქ გმირული თავდადების მაგალითი მივიღოთ და გამარჯვების წყურვილით გავიმსჭვალოთ.

სახალხო გვარდიის გმირებს, ძმათა სასაფლაოს გორაკზე, დღეს უნდა ფიცით შევეკრათ, რომ მათ ანდერძს არ ვუღალატებთ, მათ სახელს არ შევარცხვენთ, მათგან ამაყათ ნატარებ ძლევის დროშას ძირს არ დავუშვებთ.

თქვენ მოიხადეთ თქვენი წმინდა ვალი, და ნეტარი სახელი დასტოვეთ, ჩვენო გმირებო და მაგალითის მომცემნო. ჩვენც თქვენთან დავიმარხებით, ან გამარჯვების სანეტარო ყიჟინით მოვალთ და გახარებთ გაშლილი და თავისუფალი რევოლიუციური დროშის მაღლა ფრიალს, თავისუფალი საქართველოს ბრწყინვალე მზის სხივზე მოელვარეს.

საუკუნო ხსოვნა გმირთა სახელს. მუდმივი გამარჯვება მათი ანდერძის ერთგულ მიმდევართ!

მთავრობაში

14 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ, მოისმინა რა ფინანსთა მინისტრის მოხსენება ქალაქთა საბიუჯეტო უფლებების შესახებ, დაადგინა: მოსპოს სახელმწიფო გადასახადები ქალაქის უძრავ ქონებაზე. უარყოს წინადადება ქალაქებზე სასარეწაო გადასახადთა სრულიად გადაცემის შესახებ. ამასთანავე საერთო სახელმძღვანელოთ იქნეს მიღებული პრინციპი პირდაპირ გადასახადთა თანდათანობითი გაერთიანებისა და კერძოთ გადაეცეს ქალაქებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში 60°/₀ მთელი შემოსავლისა. დანარჩენი 40°/₀ კი გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას, ამასთანავე ხარჯთ ამკრებ ინსპექციის მთელი აპარატი რჩება ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში. მიეცეს ქალაქებს წინადადება, რათა მათ აღმოუჩინონ დახმარება სარაიონო საბჭოებს სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ბრუნვისა და მოგების გამორკვევაში. სასარეწაო გადასახადთა აკრეფა თანახმად არსებულ კანონებისა იქნეს დატოვებული ქალაქთა განკარგულებაში, იმ პირობით, რომ მთელი შემოსავალი გადასცეს სახელმწიფო ხაზინას. განსაზღვრულ პროცენტების ქალაქთა სასარგებლოთ ჩანიშვნით. გარდა ამისა, შემოსავლის კვალობაზე დადებულ გადასახადიდან შემოსული თან-

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა ბაქოდან საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელ გ. ხუნდაძისაგან, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის მიერ უკვე გაცემულია ბრძანება იმის შესახებ, რომ განახლებულ იქნას საქართველოში სამარშრუტო ნავთით დატვირთულ მატარებლების გაშვება. განთავისუფლებულია აგრეთვე საქართველოს მისიაში მოსამსახურე ორი პირი, რომელნიც ამას წინეთ იყვნენ დაპატიმრებულნი.

ხის 25% უნდა გადაეცეს ქალაქებს, ხაზინას 45%, და ღვინოზე დადებულ აქციზიდან ქალაქებს უნდა გადაეცეს 20%, ხაზინას 8%. (ლდს).

შეთანხმება ურ'მის გემების შესახებ

საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელ შეიმანსა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ გრ. ლორთქიფანიძეს შორის დაიდო შემდეგი ხელშეკრულება:

1) ის გემები, რომლებიც იყვნენ საქართველოს ნავთსადგურებში ა. წ. 15 ნოემბერს, რომლებიც ამ ვადის შემდეგ მოვიდენ და რომლებიც მომავალში მოვლენ რუსეთის ახალი ან და ძველი ფლაგით, და რომლებსაც ექნებათ შესაფერისი დოკუმენტები, დამამტკიცებელნი იმისა, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნიან ისინი და რომ ისინი მიწერილია რ. ს. ფ. ს. რ. ერთ-ერთ ნავთსადგურზე—უნდა დარჩნენ რ. ს. ფ. ს. რ. განკარგულებაში. მის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახით.

2) ამ შეთანხმებაში არ შედიან შემდეგი გემები: „ელენე", „კლავდია" და „იუდიფი", რომელთა საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკებით გადაწყდება.

კომუნისტურ სამოთხეში

I

ეს ერთი ხანია ჩვენი კომუნისტები გაფთრებულ აგიტაციას ეწევიან რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისინი სარგებლობენ ჩვენში გამეფებული ეკონომიური კრიზისით და მუშა მოსამსახურეთა გაჭირვებული მდგომარეობით. აი, ხომ ხედავთ, ეუბნებიან მათ კომუნისტები—ყველაფერი ეს მენშევიკური მთავრობის და დემოკრატიული წყობილების ბრალია, საბჭოთა სისტემა გიხსნის თქვენ ყოველგვარი უბედურებისაგან და ერთხელ და სამუდამოთ შვებას მოგანიჭებთო!

მათი პრესა, მათი აგიტატორები ყოველ დღე ამას ჩასჩიჩინებენ ხალხს.

კომუნისტები რომ კეთილსინდისიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ, რასაკვირველია, ასე არ მოიქცეოდნენ, ვინაიდან ვინ არ იცის, რომ თუ სადმე გაჭირვება და შიმშილია, თუ სადმე მუშათა კლასის მდგომარეობა უმწეოა—ეს პირველყოვლისა საბჭოთა რუსეთში, ამ კომუნისტურ სამოთხეში. მაგრამ კომუნისტი რის კომუნისტია, თუ თავის მახინჯ სახეს გამოაჩენს და დემაგოგიას უარყოფს. ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ხელახლად მივაწოდოთ მკითხველებს ზოგიერთი ცნობები საბჭოთა რუსეთში საქმეთა მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ბალშევიკები თავის აგიტაციას მკითხველის გულმავიწყობაზე აშენებენ. ჩვენ ვალაპარაკებთ აქ თითონ კომუნისტებს, მათ გაზეთებსა და ჟურნალებს. დეე, მკითხველმა თითონ დაასკვნას, როგორი სამოთხე შექმნეს კომუნისტებმა დიდ რუსეთში!

როგორია რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა და მუშათა ყოფა-ცხოვრება?

„შრომის ულუფა" პეტროგრადში. იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულიყო მუშათა მდგომარეობა პეტროგრადში, შემოღებულ იქნა „შრომის ულუფა", რომელიც დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: „ვინც მეტს მუშაობს,—მეტსაც სჭამს". ძირითადი სანოვაგე, რაც ბარათებით უნდა განაწილდეს, არის პური, რომელიც თვითეულ მუშას ეძლევა ნახევარი გირვანქა თვითეულ ნამუშევარ დღეში, გარდა ჩვეულებრივ სამოქალაქო ულუფისა. გასულ 1919 წლის დეკემბრიდან „პეტროკომუნამ" შემოიღო ორგვარი შრომის ულუფა: სამი-მეოთხედი გირვანქა (ბარათი ფორმა А) ეძლევა მათ, ვინც მძიმე სამუშაოს ეწევა ფაბრიკა ქარხნებში და თავდაცვის საქმეზე; ნახევარი გირვ. (ფორმა Б) იმ მუშებს, ვინც შედარებით მსუბუქ შრომას ეწევიან. უკანასკნელი ულუფა ეძლევა აგრეთვე ორსულ ქალებს და ძუძუ მწოვარა ბავშვთა დედებს. მიმდინარე წელს დაიბადა აზრი იმის შესახებ, რათა უზრუნველჰყონ პურის ულუფით საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე ყველა მოსამსახურენი, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურათ გაძლიერებას. ასეთ მოსამსახურეთათვის 1 თებერვლიდან დაწესებულ იქნა ახალი ულუფა—დღეში ერთი-მეოთხედი გირვანქა. („ეკონომ. ჟიზნ." № 96).

ჩვენში მუშა იღებს გირვანქა პურს ოჯახის წევრზე. ახლომომავალში რაციონი 1½ გირვაქად გადიდდება, ჩვენი ბალშევიკები კი იძახიან: საქართველოში ჯოჯოხეთია, საბჭოთა წყობილება გიხსნითო!

„**სპეკულიაცია.** რა არის სპეკულიაცია?

ეს არის გახრწნილ კაპიტალიზმის უკანასკნელი ფორმა, კერძო საკუთრების უკანასკნელი ნაშთი. ობიექტიურმა პირობებმა ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ იმის გამო სპეკულიაცია საოცრათ გაიზარდა... სპეკულიანტი თავის თავს ლონივრათა ჰგრძნობს, წარმოადგენს რა ახალი ბურჟუაზიის წინა მორბედს. აქამდის სპეკულიაციის ხელთ იყო უზარმაზარი სამეურნეო ძალები, აქამდის მოსკოვი, მაგალითად, ცხოვრობს არა იმდენათ სახელმწიფო ულუფით, რამდენათაც სუხარევკით—ამ სპეკულიაციის კლასიური ბაზრით". („სოლდატ. რევოლიუციი" № 493).

აქ კი კომუნისტები მუშებს არწმუნებენ, რომ სპეკულიაცია მხოლოდ საქართველოშია და რუსეთი ამ სენისაგან განთავისუფლდა „სოციალისტური რევოლიუციის" წყალობითო.

საქონლის ფასები მოსკოვში. ცნობები აგვისტოს ბოლო რიცხვებს შეეხება: შავი პური ღირს გირვ. 550 მან., თეთრი პური—1000 მან., კვერცხი—3500 მან. ათი ცალი, კარაქი—4500 მან., ხორცი—2000 მან., ნედლი კომბოსტო—450 მან. გირვ., რძე სტაქან ნახევარი—420 მან., „სელიოდკა"—1000 მან. ცალი, ხიზილალა გირვ.—18 000 მან., შოკოლადი—18.000 მან., ჩაი—15.000 მ-დე, შაქარი—5000 მან., პაპიროსი 25 ცალი—800 მან., ჭიქა ცალი—600 მან., კოჭა ძაფი—1000 მან., ნემსი ცალი—150 მან., ქართოფილ—250 მან. გირვანქა, ბატინკები—60,000 მ-დე, კაცის ნასკები—3000—5000 მან., ქალის ჩულქები 12000 მან. წყვილი; კაცის კასტუმი საშუალო ღირსების—200,000 მ დე, ეტლი—3000—5000 მ. ერთი გზობაზე.

აგვისტოს შემდეგ რუსეთში ცხოვრება ერთი ორათ და სამათ გაძვირდა. ჩვენში ხომ ცხოვრება ძვირია, მარა ახლა შეადარეთ რუსეთის სიძვირე ჩვენს ფასებს და საქართველო სამოთხეთ მოგეჩვენებათ. ბალშევიკები კი ჩვენს მუშებს ატყუებენ, თითქო რუსეთში მშრომელთათვის ნეტარება იყოს.

როგორ კვდება პეტროგრადი.

უკანასკნელი აღწერილობის სტატისტიკური ცნობების დამუშავება დასრულდა. გამოირკვა, რომ ქ. პეტროგრადის გამოკლებით, გუბერნიაში 888.741 სული ითვლება, ამათში 384.139 მამაკაცი და 563.732 დედაკაცი. პეტროგრადიანათ მთელ გუბერნიაში კი ითვლება 1.600.512 სული („იზვესტია", 10 დეკ.).

ამნაირათ, ქ. პეტროგრადში მხოლოდ 711.771 მცხოვრები ყოფილა; ეს მაშინ, როცა 1914 წელს პეტროგრადში 3 მილიონი მცხოვრები ითვლებოდა.

ჭეშმარიტათ, სამოთხეში მოხდება ასეთი ამბები!

როგორ აშენებენ რუსეთს?

აი რას სწერენ ბალშევიკები თავის თავზე:

„სამოქალაქო ომის ორ წლის განმავლობაში ჩვენ ისე ვცხოვრობდით ჩვენს ქალაქებში, როგორც საზოგადოთ ცხოვრობენ ომიანობის დროს ქალაქებსა და სოფლებში. დრო არაა ვიფიქროთ სწორათ მოწყობილ მეურნეობაზე; მთელი გულის ყური მიპყრობილია სამხედრო და მის დამხმარე მეურნეობაზე. დრო არაა ვიფიქროთ მატერიალურ ღირებულებათა შენახვაზე და იმაზე თუ როგორ მოვიხმაროთ იგი. თუ ფანჯარა ტყვიამ გახვრიტა—დაჩქმანე იგი ჩვარით, ფიცრები ჩააყენე ფანჯარაში. „შტუკატურკა" დაზიანდა—გადაიგდე იგი, სადმე ღობესთან. ჩამოიხგრა ნახევარი სახლი—გადადი მეორე ნახევარში; პირველში კი... ჩვენ საქმე არა გვაქვს ნანგრევებთან, უწესრიგობასთან; არა გვცალია მის გასაწმენდათ. ამის გარდა, დაგროვილ აგურებისაგან და ხის ნანგრევებისაგან ხომ ადვილი გასაკეთებია ბარიკადები! ომი არსებითად დასრულდა, ან კიდევ გადავიდა საზღვრებზე, განაპირა ქვეყნებში. და მხოლოდ ეხლა, მესამე წელში ვამჩნევთ ჩვენ, რომ ნანგრევებთა შორის ვცხოვრობთ. ჩვენ ვცხოვრობთ დიდ, „მოუთავებელ სახლებში, რომელთა ფანჯრებიც ისევე გამოიყურებიან, როგორც თვალების ორმოები გატიტვლებულ თავის ქალაზე. ჩვენ ვცხოვრობთ გადამწვარ შენობათა შორის, რომელთა კედლებიც მოწყენით გამოიყურებიან ნაგავის, ქვიშისა და რკინეულობის გროვაში ჩაფლულნი. ჩვენ ვცხოვრობთ მკვდარ სახლებში, სადაც სინესტე კედლებით სარდაფებიდან სახურავზე გადადის, სადაც დამსკდარია ფეჩები. ქალაქების ირგვლივ გადაჭიმულია აგარაკები, სადაც დახეთქილა ფიჩები, ამოღებულია ჩარჩოები, გაჩეხილია ლობეები, მთელი რუსეთი წარმოადგენს უზარმაზარ სასაფლაოს, სადაც ჩამარხულია მანქანები, ორთქლ მავლები, მილები, რელსები, მავთულები, იარაღები. მთელი რუსეთი საწყობია ხლამის, რომელიც იჟანგება და ლპება. მთელი რუსეთი უზარმაზარი ნაგავის გროვაა, რომელიც სახლებიდან ეზოებში გამოეფინა, ეზოებიდან ქუჩებში... მიმოავლეთ თვალი ჩვენს სახლებს, საწყობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, ჩვენ უნდა წამოვიძახოთ: რა ქაოსია, რა უწესრიგობა, რა საზიზღრობა!" („პერგომ სუბოტნიკ" 2 მაისი)

ეს მართლაც საზიზღრობაა, მარა კიდევ უფრო მეტი საზიზღრობაა, როცა რუსეთს, ამ ბალშევიკებისავე თქმით, „უზარმაზარ სასაფლაოს", „ხლამის საწყობსა და „უზარმაზარ ნაგავის გროვას" ჩვენი კომუნისტები აქ სოციალისტური წყობილების მაგალითად ასაღებენ!

მრეწველობის დაშლა.

„იზვესტია" ათავსებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ იშლება და ქრება მრეწველობა ვოლგის რაიონში. ივანოვო-ვოზნესენსკში ყველა 18 ფაბრიკა გაჩერებულია და არც იმედია მათი ამუშავების. ვოლგის სხვა რაიონებშიაც არა უკეთესი მდგომარეობაა. უდიდესი ქარხნები გაჩერებულია. იაროსლავლის ქარხანაში მუშათა ¼ მუშაობს. მუშები გარბიან სოფლად შიმშილობის გამო. გლეხი ქაღალდის ფულზე არაფერს იძლევა. 1½ გ. ქართოფილი 8000 მანეთი ღირს.

აი როგორ ააყვავეს ბალშევიკებმა ეკონომიურათ რუსეთი, რა განცხრომაში ყავთ მუშები! ი.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 დეკემბერი.

ფრანგული ცნობები

მესამე ინტერნაციონალი.

დიუნკირხენისა და როზენდალის სოციალისტურ პარტიების სექციებმა მე 3 ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ მისცეს ხმა.

გერმანული ცნობები

გერმანიის ფინანსები.

გერმანიის მთავრობამ ბრიუსელში მყოფ ანტანტის დელეგატებს ჩააბარა ბარათი, რომელშიაც აღწერილია გერმანიის ფინანსების მდგომარეობა ივლისის 31-მდე. ჩააბარეს მოხსენება შემოსავლის და მიმდინარე ვალის შესახებ და აგრეთვე ანგარიში ქაღალდის ფულის გამოცემის და გერმანიის გაცვლა-გამოცვლის განვითარების შესახებ 1914 წლიდან.

შეურაცყოფის გამო.

საგარეო საქმეთა მინისტრი სიმონსი ბრიტანეთის ადმირალ შარლტონის მიმართ გაგზავნილ ნოტაში გამოსთქვამს მწუხარებას კუქსგავენში მომხდარ ინციდენტების გამო და აცხადებს, რომ კომანდირი არ არის დამნაშავე, რადგანაც მან მიიღო ზომები, რომ ხელი შეეშალა შეურაცყოფისათვის, დამნაშავე ჯარისკაცები კი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი. ამ მოვლენის გამო გერმანიის პრესა იგონებს გერმანიის ტყვეების დახოცვას სკაპა-ფლოუში ბრიტანეთის მეზღვაურების მიერ.

ფლოტის გაძლიერებლათ.

ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა თემთა პალატას თხოვნით, ფლოტის გასაძლიერებლათ დამატებით კრედიტის 6½ მილიონ გირვანქა სტერლინგის გაღების შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიაში საერთო გაფიცვა გრძელდება. სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები გაფიცულ კომუნისტებსა და ჯარების შორის შეტაკების შესახებ.

ხოლერის წინააღმდეგ.

გერმანიის მთავრობამ მიიღო წინასწარი ზომები, რათა გერმანიაში არ იქნეს გავრცელებული ის ხოლერა, რომელიც გაჩნდა რუსეთში, პოლონეთში და გერმანიის მოსაზღვრე ადგილებში.

საბერძნეთის მეფე და დედოფალი.

საბერძნეთის მეფე და დედოფალი საბერძნეთის გემით ვენეციიდან პირეის გაემგზავრენ.

ლიონის ცნობები

სავაჭრო დამოკიდებულება საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

საფრანგეთში არ გამოუცხადებიათ არავითარი აკრძალვა რუსეთთან კომერციულ ან ფინანსიურ დამოკიდებულების დაკავების შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთის მთავრობის შორის არ იყო არავითარი დამოკიდებულება, ამიტომ უკანასკნელი არ იღებდა თავის თავზე არავითარ პასუხის-მგებლობას. ასე რომ, ეს თუ ის მრეწველი მოქმედებს თავის რიცხვზე და რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ან და რუსეთში გატანილი საქონელი ემორჩილება საერთო წესებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რუსეთში არ უნდა იქნეს გატანილი არც იარაღი და არც სამხედრო მასალები. სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან შავი ზღვის საშუალებით რჩება მოკავშირეთა საზღვაო ძალების კონტროლის ქვეშ.

კონსტანტინეს დაბრუნება.

საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა გადასცეს პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე მეფე კონსტანტინეს საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ. კონსტანტინეპოლის პატრიარქი რჩება ვენიზელოსის მომხრეთ და ათინაში ახალ მიტროპოლიტის დანიშვნაზე უარს ამბობს.

ერთა ლიგაში.

ლიტვა, ესტონეთი და ლატვია უარყვეს 20 ხმით წინააღმდეგ 5 ხმისა, საქართველო უარყვეს 14 ხმით წინააღმდეგ 10 ხმისა. ტეხნიკურ ორგანიზაციებში ეს სახელმწიფოები ისარგებლებენ იმავე უფლებებით და პრივილეგიებით, როგორითაც რიგის წევრები სარგებლობენ. ადერბეიჯანი, უკრაინა და ლისტენშტეინი უარყვეს. ალბანეთი, ლორდ რობერტ სესილის მოხსენების შემდეგ, ერთხმად იქნა მიღებული 35 სახელმწიფოს მიერ. საკითხი პატარა სახელმწიფოების მიღების შესახებ სათანადო კომისიებს გადაეცა განსახილველათ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

18 დეკემბერი.

ინგლისის მუშათა პარტია

ლონდონი. ინგლისური პრესა გადმოგვცემს, რომ ინგლისის მუშათა პარტიამ 349 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 200 ხმისა უარყო წინადადება კომუნისტებთან შეერთებისა. პარტიის ერთ ერთმა ლიდერთაგანმა სთქვა: ინგლისის მუშათა მოძრაობის თავისი სახელმძღვანელო ცენტრი ექნება არა მოსკოვში, არამედ ლონდონში.

დაუდევრობა

მოსკოვი. „პრავდას" მოყავს მოსკოვის დაცვის კომიტეტის ნოემბრის 11 ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია: ჯარის ნაწილების, დაწესებულებების და შტაბების დათვალიერებამ გამოარკვია, რომ კომანდირებმა და კომისრებმა ჯარისათვის სურსათის და სამხედრო მასალის მიწოდებაში დიდი დაუდევრობა გამოიჩინეს. ასეთი საქმეების გასარჩევად ჯარის მთავარ სამხედრო ტრიბუნიდან, საგანგებო კომისია იქნება გამოყოფილი.

საბჭოთა რუსეთი და რუმინია

მოსკოვი. „იზვესტია" იუწყება: რუმინეთის მთავრობა შეეკითხა საბჭოთა მთავრობას თუ რომელი საკითხებია რუმინეთისა და რუსეთის შორის სადაოო. „იზვესტია" ამაზე საბრალმდებულო აქტით უპასუხებს. რუმინეთს რუსეთი ბრალს სდებს: 1) ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვალდებულებათა დარღვევაში და საბ. მთავრობის მტრების დახმარებაში და 2) რუსეთზე ძალით ჩამორთმეულ ბესარაბიის საკითხის განხილვის უარის თქმაში. შემდეგ რუსეთი ბრალს სდებს ინგლისსა და საფრანგეთს რუმინეთის დამპყრობ პოლიტიკის ხელის შეწყობაში.

კასპიის ზღვაზე.

ბაქო. ასტრახანიდან ცნობა მოვიდა კასპიის ზღვის ყინვით დაფარვის შესახებ. ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად და მრავალი გემი ყინვაში დარჩა. მოსკოვის „იზვესტია"-ს ცნობით მრავალი ძვირფასი ქონება დაიღუპა.

საბერძნეთი და მოკავშირე სახელმწიფონი.

პარიზი. „ეკო-დე-პარი" იუწყება: საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ უმაღლეს საბჭოს მიმართა წინადადებით: იმ შემთხვევაში, თუ კონსტანტინე საბერძნეთის ტახტზე დაბრუნდება, მიიღოს შემდეგი ზომები: 1) საბერძნეთთან დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტა; 2) ოსმალეთის ხელშეკრულების, სმირნისა და ფრაკიის შესახებ, ხელახლა განხილვა. ლორდ-კერზონმა თავის მხრით შემდეგი წინადადება წარადგინა: 1) საბერძნეთისათვის შეუძლებელი გახადონ ევროპაში სესხის აღება, 2) საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ყველივე ხელშეკრულება ხელახლა განხილულ იქნას, 3) კონსტანტინეს პოლიტიკის მიმდევარნი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, თანადებობიდან გადაყენებულ იქნან.

კოშკში

ფანტაზია.

1.

ცად აზიდულ
კლდის მწვერვალზე
არწივების მოსჩანს ბუდე,
და საშიშარ
მის ნაპრალზე
უშიშრად სდგას
კოშკის ზღუდე.

ჟამთა დენით,
დროთა ფრენით,
დასდებია კედლებს ხავსი,
და უცნაურ
ღრმა მოწყენით
ნისლს იბურავს
სფინქსის მსგავსი.

აი, ამ კოშკს,
ლეგენდარულს,
ჩამოღვარულს,
მეხით რღვეულს,—
რაღაც ძალნი,
იდუმალნი,
დაჰგალობენ
ნანას გრძნეულს.

ხმები.

„განისვენე მგოსნის სულო,
დავრდომილთა მოყვარეო,
ხალხის ტკბილო მომღერალო,
ქვეყნის ჭირთა მოზარეო.
დაობლებულს ერსა შენსა
ცრემლები სდის მდუღარეო;
უკვდავების ჰიმნს გიგალობს
დათალხული, მწუხარეო".

ხმა მისწყდება.
ისევ ისე
დაყრუვდება
მისი არე,
მხოლოდ ქარი,
შესაზარი,
უსავანო,
მგლოვიარე,—
თავს დაჰბრუნავს,
დაჰსისინებს,
მიიჩივლებს,
მოიჩივლებს,
და ქვითინით
გულდაღლილი
ისიც ჩუმად მიიძინებს.

2.

გაუქმებულ ამ ძველ კოშკში,
მტვერ დადებულ ერთს კედელზე.
სადაც თურმე ობობები
დაცოცავენ გაბმულ ქსელზე—
ჩანგიაო დაკიდული,
ვიღაც მგოსნის ოქროს ჩანგი
და წლის თავზე, ისიც ერთხელ,
გაისმისო მისი ჰანგი.

ეხლაც სწორედ ის ჟამია,
დარბაზს ხალხი ახმაურებს;
მასპინძელად მეფე არის,
მეფე იწვევს რჩეულ სტუმრებს.

3.

მეჯლისია ზღაპრულ კოშკში,
ზღაპრულ კოშკში ყველა მღერის,
და თამადაც ენამჭევრი,
მჭერმეტყველობს ვით შეჰფერის.

თამადა.

მეფევ! მეფევ!
იდღეგრძელეთ!
ნუ მიგაკლოთ
ღმერთმა ლხენა!
თქვენს დიდებას,
ძლიერებას,
მფარველობდეს
ზესთა-ზენა!!!

მეფე.

გმადლობ, ჩემო ტოლუმბაშო!
მომეწონა შენი სიტყვა;
მომეწონა რადგან იგი
გულ-წრფელობით წარმოითქვა!
...და ყველანი,
ყველა ერთხმად,
იმღერიან,
იცინიან;
აღტაცებით,
შეჯიბრებით,
ჯიხვის რქებით
ღვინოს სცლიან.

4

ზეიმია მეფის კოშკში,
მეფის კოშკში ყველა ლხინობს,
მხოლოდ მარტო დედოფალი
თვისებრ აღარ თინათინობს.

სევდიანი,
ეშხიანი,
ზის სარკმელთან,
უმზერს მთვარეს;
და მგოსანიც
ტკბილ ხმიანი,
ატკბობს,
ათრობს
არე-მარეს.

რა ხანია დედოფალსა
იგი მტკიცედ შეუყვარდა;
ვერ აშორებს წუთით თვალსა,
გულში დარდად ჩაუვარდა.
ცრემლიანი,
ნაღვლიანი,
მას შესტრფის და
მას უმზერის
ის კი—
ის ნიჭ მადლიანი,
გატაცებით ხალხს უმღერის.

მგოსანი.

ერო ჩემო, გვემულო,
გენაცვალე გულითა;
ხუნდებით დაცემულო,
ნუ ეცემი სულითა!

შენის სენით სნეული,
ვგოდებ შენივ წყლულითა;
შენ ერთს გეტრფი, გაღმერთებ
ციურ სიყვარულითა!

შენდა სადიდებელად
ვამუსიკებ ენასა,
თაყვანსა ვცემ, ვემთხვევი,
შენს წმინდა მარჯვენასა!

კმარა, რაც მონობაში
ცხარე ცრემლი გდენია!
აღზდექ! მოდი ცნობაში!
გეყო, რაც გითმენია!

დედოფალი.

ვაშ, შენს ხმასა,
შენს სიმღერას,
დაგელოცოს
ღვთისგან ქნარი;
დიდებაო ჩემის ქვეყნის,
რად შემიღე გულის კარი?

ყრმაო! ყრმაო!
როცა მესმის
ხმა-ნარნარი
შენი მღერა,—
მეც ფრთა მესხმის,
მაგრამ შენებრ
ვერა ვმღერი,—
ვფიცავ ვერა!

ვინ გასწავლა
ეგ გალობა,
ეგრე ნაზი,
ეგრე წყნარი,
რომ მყინვარსაც
იწყო ლხობა,
რომ მყინვარსაც
სცვივა ცვარი!

ვინ ხარ, ვინა,—
ბულბული თუ
მზის ტოროლა
ენატკბილი,
რომ ზარს ჰრეკავ სარიჟრაჟოს
ფრთა მალხაზი,
ფრთა გაშლილი?

იქნებ ღმერთმა მოგავლინა
ციურ ცეცხლის დასაკვესად;
ჩემი ერის აღსადგენად,
სიყვარულის დასათესად?

ეჰ, რა ვიცი, ვინ ხარ, რა ხარ,—
შორით მინთებ ტრფობის ალსა;
სულს მიმაღლებ, მიცისკროვნებ,
მიმითითებ მომავალსა.

5.

ზეიმია ზღაპრულ კოშკში,
ზღაპრულ კოშკში ყველა ხარობს;
მხოლოდ ტურფა დედოფალი
ისევ ისე გულ-მჭმუნვარობს.

6.

თამადა.

თავადებო! აბა, ყანწი!
მოვიხადოთ ყველამ ვალი!
ერთსულოვნად ვადღეგრძელოთ
ჩვენი სათნო დედოფალი!

წვეულები.

მზეთა-მზეო!
მზის გვირგვინით
მოგეგებოთ მომავალი!
ჩვენც შიშველ ხმლით,
მძლავრ ყიჟინით,
შეგვემუსროს მტერთა ძალი!

დედოფალი.

დიდად გმადლობთ...
მტერთა ზედა
პირ-მკვეთრობდეს
თქვენი ხმალი.

მეფე.

ჩემო მშვენო! რა გალონებს,
რად ხარ ეგრე დღეს ფერმკრთალი,
პირმცინარს და გულით მლხინარს
რომ დაგიქრო ცეცხლის ალი?

დედოფალი.

შეუძლოთ ვარ.

მეფე.

ნუ აჰყვები ჯავრსა შენსა,
მოიკრიფე სიმხნის ძალი,
თორემ სტუმრებს ეგონებათ,
გულძუნწობსო დედოფალი.

დედოფალი.

ბატონებო, ოღონდ ჩემზე
მაგ აზრისა ნუ იქნებით
და თუ გნებავთ, თუ ხელს გიშლით,
ეხლავ წავალ, გაგეცლებით.

წვეულები.

რასა ბრძანებთ, დედოფალო,
ვინ თქვენა და ვინ ძუნწობა;
თქვენს ხელ-გაშლილ პურადობას
იცნობს მთელი ქართველობა.

7.

მეჯლისია მეფის კოშკში,
მეფის კოშკში ყველა ხარობს,
მხოლოდ მარტო დედოფალი
ისევ ისე გულმწუხარობს.

8.

კოშკის დაბლა, ცაცხვის ჩრდილში
ზის მგოსანი მოწყენილი;
ოცნებობს და სულის კვნესით
ცას შეჰგალობს ენა-ტკბილი.
სახე მშვიდს და დაფიქრებულს
დაჰქათქათებს ბადრი მთვარე,
მის მადლიან ღვთიურ ჰანგებს
იმეორებს მყუდრო მხარე.
სიყვარულით გამჭვალული
დედოფალიც უგდებს ყურსა;
ციურ ხმებით მოხიბლული
ემსგავსება ზეციურსა.

მგოსანი.

ჩემო ქვეყანავ!
დღისით თუ ღამით,
შენ გიალერსებ,
გესაყვარლები,
და შეუშრობელ
ცრემლების ნამით,
მწარ-ტკბილ ოცნებით
თავზე გევლები.
შენა ხარ ჩემი
მშობელი დედა,
ჩემო სინათლევ,
ჩემო ქვეყანა;
შენს თბილ უბეში,
შენს ძუძუ-მკერდზე
მესმოდა შენი
გულ მწყველელი ნანა.
წამოვიზარდე...
შენს კრულ ყოფაზე
ბევრჯელ ვიტირე,
ბევრჯერ ვიდარდე,
და ჩემი ბოლმა,
ჩემი ვარამი,
დახურულ გულის
სიღრმეში ვზარდე...

დიდხანს ვიფიქრე.
და ჰა, დავძრახე
ჩემი სილაჩრე,
ჩემი სიმუნჯე;
შენს აღმადგენლად
შენვე დაგსახე,
დაგძახე:
აღზდექ, ჩემო საუნჯე!

9.

მისწყდა ჰანგი.
ოქროს ჩანგი
მზე ჟაჟუკმა
ძირს დახარა,
და ამ ჰიმნმა,
ამ ყრმის ბუკმა
კიდით-კიდე მოიარა.

ახალი ამბები

1918 წელს, 19 დეკემბერს ეკატერინენფელდთან ბრძოლის ველზე გმირულ თავგანწირულ ბრძოლაში დაიღუპენ თფილისის ძველი რევოლუციონერი მუშები—სახალხო გვარდიელები. ორი წლისთავის აღსანიშნავად კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე ძმათა სასაფლაოზე შეიკრიბებიან ამხანაგები.

◆ **საოლქო სასამართლოს დადგენილებით** შეჩერებულ იქნა რუსული გაზეთი „კომმუნისტ გრუზიია“ და ქართული—„ახალი კომუნისტი“.

◆ **დამფუძნებელი კრების სხდომა** შესდგება დღეს, შუადღის 12 საათზე.

◆ **რესპუბლიკის თავდაცვის ფონდისთვის** შეწირულებანი ფულათ და ძვირფასი ნივთეულობით მიიღება სახელმწიფო ბანკში ს. კილაძესთან. ფონდის მთავარი გამგეობის მისამართი: სასახლე, ოთახი 29, ტელ. 8—16.

◆ **პროფ. კავშირებში მომუშავე პარტიული ამხანაგების** თათბირის განგრძელება დანიშნულია სამშაბათს, 22 დეკემბრისათვის საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში. საჭიროა ამ სხდომას დაესწრონ ყველა კავშირებში მომუშავე პარტიის წევრები.

◆ **ორშაბათს**, 20 დეკემბერს, 10 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქ. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომა. სხდომაზე მოწვეული არიან სრულიად საქართველოსა და კახეთის რკინის გზებზე მოსამსახურეთა კავშირის ცენტრები.

◆ **თავდაცვის ფონდი.** დღეს, დილის 11 საათზე დანიშნულია თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის სხდომა. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია. სხდომა შესდგება გამგეობის ბინაზე სასახლეში, ოთახი № 24.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახ. არს. ქართ. წარმოდ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მელანიას ოინები“ დასაწყისი $7^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ამხ. ნიკოლოზ ჩუთლაშვილი.** ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა პარტიის ძველი მუშაკი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე ჩუთლაშვილი, რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** დღეს, დეკემბრის 19-ს, დილის 11 ს. სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა), მოხდება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება. ბ-ნი ს. გორგაძე წაიკითხავს მოხსენებას—„ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1850—1920). შემდეგ კრება განიხილავს საზოგადოების მოქმედების და შემოსავალ გასავლის წლიურ ანგარიშებს 1919 წლისას. სარევიზიო კომისიის აქტსა და ხარჯთ-აღრიცხვას 1920 წლისათვის. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ **აფთიაქის მოწაფეთა საყურადღებოთ.** დეკემბრის 25-ს დაიწყება მეცადინეობა თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის კურსებზე, აფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებათ. სწავლის ფული თვითეულ მოწაფეს გადახდება ათას ხუთასი მან. გამოცდები მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალ წლის მარტში რუსულ-ქართულ ენებზე. გამოცდებისათვის საჭიროა სამი წლის სტაჟი.

◆ **„ჩვენი ქალაქი“.** გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი ქალაქის“ მორიგი (ოქტომბერ-ნოემბრის) ნომერი.

კრებები.

ორშაბათს, 20 დეკემბერს საღ. 5 ს. დანიშნულია ნაძალადევის კლუბის შენობაში ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საზოგადო კრება მომავალ რკინის გზელების ყრილობის შესახებ. წევრების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, დღის 2 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა სასწრაფო კრება.

— ხვალ, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტ სტუდენტთა ეკონომიური წრის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები.

— დღეს დილის სრულ 10 საათზე მეხუთე ქალთა გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამავე გიმნაზიის მშობელთა და მზრუნველთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. ვინაიდან განსახილველია ფრიად საჭირ-ბოროტო საკითხები, აღნიშნულ კრებაზე ყველა მშობლების დასწრება სავალდებულოა.

თამბაქოს მონოპოლია

„ახალი სხივის“-ს № 32 ში მოთავსებულია წერილი „როგორ ტარდება ცხოვრებაში მონოპოლია“ ვინმე შ. დაროვისა. ჩვენის აზრით, ავტორი არამც თუ არ იცნობს მეთამბაქოობის საქმეს, არამედ, მგონი, თამბაქოს მწეველიც არ უნდა იყოს. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს მისი განცხადება, თითქოს სოხუმის თამბაქოს მხოლოდ „შესაზავებელ მასალად ხმარობენ“, როგორც ზაფრანას ცხვრის ბოზბაშისთვის. ავტორს თავისი წერილი ამოუკრეფია და შეუზავებია ორი მოხსენებიდან:

1) აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა კავშირის დროებითი ბიუროსი და

2) მეთამბაქოეთა კოოპერატივების წარმომადგენლებისა, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს.

აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა ყრილობა, რომლის რეზოლიუციაზედაც არის აშენებული ეს მოხსენება, (ყრილობა იყო ივლისტოში) მოხდა მაშინ, როდესაც მწარმოებელი—მეთამბაქოე ნერვიულ მდგომარეობას განიცდიდა, ფინანსთა სამინისტროდან თამბაქოს დასამუშავებლად საჭირო სესხის დაგვიანების გამო. მაგრამ, ნუ თუ „ახალი სხივი“-ს თანამშრომლებმა მაინც არ იციან ის ფინანსიური გაჭირვება, რომელსაც განიცდიდა ჩვენი რესპუბლიკა თამბაქოს დამუშავების პერიოდში—გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში.

აი ამ ნერვიულ მდგომარეობით ისარგებლა მონოპოლიის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა, რომელმაც სამწუხაროდ იქონია გავლენა ყრილობის მუშაობის მსვლელობაზედ. ამ ჯგუფმა შექმნა და ფიქრობს მომავალშიაც შექმნას თავისი კეთილდღეობა თამბაქოს თავისუფალი ვაჭრობით, მომხმარებელთა და მწარმოებელთა შუამავალის როლში, ან და ამ შუამავლების თანამშრომლობით. მთელი ეს პლეადა შუამავლებისა და მათი თანამშრომლებისა, რომელიც ცხოვრობდა მწარმოებლის ხარჯზედ, ასე ადვილათ არ დაყრიდა და არ დაყრის იარაღს. თუ რა მრავალრიცხოვანი იყო ამ მწარმოებლის „ნახლებნიკთა“ პლეადა, ამის დამახასიათებელია ის დღესაც ასობით არსებული ყავახანები სოხუმში და აფხაზეთის სხვა ქალაქებში, სადაც დროს ატარებენ და ამავე დროს „საქმეებს აკეთებენ“ ეს „ნახლებნიკები“.

მარტო სოხუმში არსებობდა 180 კერძო პატრონთა თამბაქოს საწყობი, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა ეკუთვნოდათ ხსენებულ შუამავლებს—ჩარჩებს, რომელნიც „არც თესდენ და არც მკიდენ“, მაგრამ სარგებლობენ მწარმოებლის—შრომის ნაყოფის დიდი ნაწილით. ამ ელემენტმა თავის დროზე ბევრი იბრძოლა მონოპოლიის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებულ იქნა. აი ეხლა მან იხელთა დრო და უფრო სხვა სახით, სხვა ფრონტიდან მოაქვს იერიში.

დაფარეს რა მოხერხებულად თავიანთი პირდაპირი მიზანი, ყრილობის უჩინარმა ხელმძღვანელებმა, რეზოლიუციის დასაწყისში, სტრატეგიული მოსაზრებით გამოაცხადეს: „აფხაზეთის ქალაქთა და ერობათა ყრილობა აღიარებს, რომ მონოპოლია სავალუტო საქონელზე დღევანდელ სახელმწიფოს ფინანსიურ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს, არამც თუ მისაღებია, არამედ აუცილებელი და მიზანშეწონილი“. მაგრამ მთელი რიგი ყალბ ციფრებზე აშენებულ მსჯელობის შემდეგ, ფაქტების ტენდენციურათ გადამახინჯების, მთავრობის მილიარდებიანი ხარჯებით და თამბაქოს გადამყლაპავი ქია პეკლებით დაშინების შემდეგ, ქალაქთა და ერობათა კავშირის დროებითი ბიურო ორაზროვნად ამბობს: თუ მთავრობა ვერ სცნობს შესაძლებლათ განახორციელოს ზემოთ ნაჩვენები ზომები, რომელნიც მოითხოვენ კოლოსალურ ხარჯებს—არა ნაკლებ 1 ნახ. მილიარდისა 5—6 თვეში, მაშინ ერთად ერთი გამოსავალი, როგორც სიმართლით აღნიშნავს ყრილობის რეზოლიუცია, იქნება მონოპოლიის მოსპობა და მხოლოდ ბაჟის სისტემის შემოღება.

ჩარჩ-შუამავლთა და მათ მრავალრიცხოვან ყოფილ თანამშრომელთა მიზანია მოიხსნას მონოპოლია და გაიხსნას ფართო ასპარეზი მათთვის, რომ მათ ჩვეულებურად-ძველებურად გაატყაონ გლეხი მწარმოებელი და გაამრავლონ თავიანთი სიმდიდრე. მით უფრო, რომ მეთამბაქოეთა მწარმოებელი კოოპერატიული ამხანაგობები ჯერ სუსტნი არიან და მათი დედამიწიდან აღგვა ჯერ კიდევ ადვილი იქნება დახელოვნებულ სპეკულიანტებისთვის.

ამ დღეებში დათავდა მუშაობა კანონიერ დამფასებელ კომისიისა, რომელზედაც დაესწრენ სრულუფლებიან წარმომადგენელნი აფხაზეთის და სხვა მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობებისა. მათ ერთხმად აღიარეს, რომ ამ დროებით მონოპოლიის მოხსნა საბოლოოდ დაამხობს მეთამბაქოების საქმეს აფხაზეთში. ამიტომ ჩვენ გვეეჭვება, რომ მწარმოებელთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას ყრილობის რეზოლიუციის მიღებაში. პირიქით, სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს, რომ უმთავრესი მოხსენებები ამ ყრილობაზე ეკუთვნიან ერთ დიდი საექსპორტო ფირმის გამგის კალამს. ძალიან დიდია გავლენა ექსპორტიორების და ჩარჩების და ძველი ტრადიციების თვით დემოკრატიის შეუგნებელ ნაწილში, და ის ასე ადვილათ არ ამოიფხვრება. ქვემოდ ჩვენ ვეცდებით მუხლობრივ გავარჩიოთ ყრილობის რეზოლიუცია და ბიუროს მოხსენება:

1) „უქონლობა სწორედ მოწყობილის და მოქნილი სამონოპოლიო აპარატისა და მწარმოებლიდან თამბაქოს შეძენის დამუშავებული გეგმისა“. ეს მართალი არ არის. მთავრობას ჰქონდა სავსებით დამუშავებული გეგმა თამბაქოს შეძენისა, საქმე იმაშია, რომ 95 % მთელი დამზადებული თამბაქოსი (გარდა 1919 წლის მოსავლის, რომელიც სულ მწარმოებლის ხელში იყო) თავმოყრილი იყო და შეძენილი ორხის ფასად ჩარჩ შუამავლებისაგან დაეწყო იმათ საწყობებში მცირეოდენი გამონაკლისის გარდა. ცხადია, ამ თამბაქოს და მის მესაკუთრეს მწარმოებელთან არაფერი საერთო არა ჰქონდა რა. არ არის მართალი, ვითომც მწარმოებლის ხელში 250 ათასი ფუთი ძველი თამბაქო იყო დარჩენილი. ამ თამბაქოს რაოდენობა, არ აღემატებოდა 50—60 ათას ფუთს და ისიც უმთავრესად ეკუთვნოდათ სოფლის პატარა ჩარჩებს, რომელთაც, როგორც შეძლებულებს, მეტი ნაწილი ამ თამბაქოსი ნაყიდი ჰქონდათ თავისივე გაჭირვებული მეზობლისგან. მაშ, საიდან გაჩნდა ის გაბერილი 250 ათასი ფუთი? ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო,—ამბობს თქმულება და თუ ამ ციფრის ავტორები მოგვთხოვენ, ჩვენ დოკუმენტალურად დავამტკიცებთ ჩვენს მიერ ნაჩვენებ ციფრს.

ახლა მოქნილობაზედ. რა გასაკვირია, რომ სამონოპოლიო აპარატს ვერ გამოეჩინა ზედმეტი მოქნილობა და სირბილე იმ 180 საწყობების პატრონ ჩარჩების მიმართ, რომლის მეტი ნაწილი ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევდა ამ აპარატს კანონის გატარების დროს. ამის შესახებ თავის დროზე ოფიციალური ოქმები იყო გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე.

სამონოპოლიო აპარატს ჰქონდა სახელმძღვანელოდ დეტალურად დამუშავებული ინსტრუქცია და, რამდენათაც ვიცით მისი ფორმულებიდან არ გამოსულა. საწყობის პატრონისგან თამბაქოს იბარებდენ სრულ უფლებიან და კანონიერ კომისიის მიერ შემუშავებულ ფასებში. დაარსების დროს ეს ფასები უდრიდა და ზოგიერთ რაიონებისთვის აღემატებოდა თავისუფალ ბაზრის ფასებს. 1919 წლის სექტემბრის დამლევს თამბაქოს ფასი გემზე დადებით და შეკვრით არ აღემატებოდა 600—700 მანეთს სოხუმის; მხოლოდ კოდორის ფასობდა 400—500 მანეთად. ამის დამტკიცება საბუთებით შეგვიძლიან. ასე რომ ბიუროს განცხადება, ვითომც მომარაგების სამინისტროს მთავარ რწმუნებულმა თავისი სურვილით და უფლებით „დანიშნა“ ფასებიო—არ შეეფერება სინამდვილეს და შეგნებულ ინსინუაციას წარმოადგენს. ეს ინსინუაცია „ახალმა სხივმა“ შენიშვნის მიუცემლათ თავის ფურცლებზე გაიმეორა.

რაც შეეხება მწარმოებლის თამბაქოს (1919 და შემდეგი წლების მოსავლისა), აქ მომარაგების სამინისტროს აქვს სრულიად დამუშავებული გეგმა, და ამ შემთხვევაში თამბაქოს „ჩამორთმევას“ ადგილი არა აქვს.

სამინისტროს ინიციატივით და ადგილობრივ ძალთა დახმარებით მთელი აფხაზეთის მეთამბაქოე მწარმოებელნი 1920 წლის დასაწყისში შეკავშირდენ მწარმოებელთა კოოპერატიულ ამხანაგობებში. იღებენ რა დახმარებას სესხის სახით მთავრობისაგან, ისინი თამბაქოს გაყიდვამდის მის პატრონებათ რჩებიან. მხოლოდ გაყიდვის შემდეგ მათვე უბრუნდებათ მოგების მეტი ნაწილი.

ადვილი გასაგებია, თუ ვის წისქვილზე ასხამენ წყალს რეზოლიუციის ავტორები, როდესაც ლაპარაკობენ სამონოპოლიო აპარატის უხეშობაზედ და ძველი თამბაქოს ფასების უსამართლობაზედ.

2) „ყრილობის აზრით მონოპოლიის გატარების საქმეში არ იყვნენ მოწვეულნი სპეციალისტი მეთამბაქოები, რომლებიც იცნობენ საზღვარგარეთის თამბაქოს ბაზარს“.

ეს მუხლი რეზოლიუციისა არ შეეფერება სინამდვილეს. თავის მოხსენებაში ბიურო თვით ხელმძღვანელობს სპეციალისტ ჩიკოვის ცნობებით, მაგრამ არ იხსენიებს ან არიცის, რომ ბ-ნ ჩიკოვი თანამშრომლობს სწორეთ ამ სამონოპოლიო აპარატში. ბ-ნ ჩიკოვის გარდა ამ აპარატის დაარსებიდანვე მასში თანამშრომლობდნენ სამი ძველი გამოცდილი მეთამბაქოე სპეციალისტები.

ძალიან სცდებიან მოხსენების ავტორები როდესაც ამბობენ, რომ სპეციალისტი მეთამბაქოები კარგათ იცნობენ უცხოეთის თამბაქოს ბაზარს. ეს ასე არ არის. ეს ცოდნა აქვთ ექსპორტიორებს და სხვადასხვა კომისიონერებს. და აი ამ მიზნით სამონოპოლიო ორგანიზაციაში მოწვეული არის გამოცდილი, თამბაქოს და მისი უცხოეთის ბაზრის მცოდნე რაფიელ გოკიელოვი, რომელიც ომამდე რუსეთის მთავრობისაგან იყო გაგზავნილი საზღვარ გარეთ თამბაქოს ბაზრის შესასწავლად. რ. გოკიელოვი ეხლა გაგზავნილია ევროპაში სპეციალური მინდობილობით.

ყველა ზემოდ აღნიშნული ფაქტების არ დანახვა და მათზედ გაჩუმება აიხსნება მოხსენების ავტორების განსაკუთრებულ ტენდენციით. ჩვენ სრულიადაც არ გვგონია, რომ სამონოპოლიო ორგანიზაციაში ყველაფერი იდეალურად კეთდებოდა; მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩვენთვის ეს საქმე, როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის სხვა მრავალი აღმშენებლობითი საქმენი, ახალი და უჩვეო იყო. ჩვენ გვწამს, რომ ეკონომიური პოლიტიკის საერთო გზა სწორედ იყო ლეიული და სურვილიც დიდი იყო ამ გზის საუკეთესო გატარებისა, რამდენადაც საერთო პირობები ამის შეძლებას მოგვცემდა. აი ამ საერთო პირობებს არ უწევენ ანგარიშს საქმიდან შორს მდგომი პირები და ზღაპრულ ნაცარ ქექიასავით გაიძახიან და ეჯერად კიდეც, რომ ისინი ყოფილიყვნენ ამ საქმეში, ქვას წყალს გაადენდნენ. საბედნიეროთ, ჩვენ შევქმენით დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიაც ყველას აქვს უფლება და მის მოვალეობასაც შეადგენს ჩაერიოს საქმეში და ცოცხალი მაგალითით დაგვანახოს საუკეთესო საქმიანობა.

ი. ყ.

(დასასრული იქნება)

ბათომი

სტამბოლიდან დაბრუნდა გემ „ზეინაბის“ კომანდა. ეს გემი ეკუთვნის ნოვოროსიის „ვნეშტორგს“ და დადის ბათომსა და ნოვოროსიისკის შორის. კომანდის თქმით ნოვოროსიისკენ მიმავალი გემი გააჩერა ინგლისის ნაღმოსანმა რომელმაც მას ორჯერ ესროლა. კომანდა ნაღმოსანზე გადმოსვეს „ზეინაბს“ დაუშინეს ყუმბარები და დასწვეს. (სლ.)

— საბინაო საკითხის გამწვავების გამო, განსაკუთრებული რწმუნებული იყო ქალაქის თვითმართველობაში და საბინაო საკითხის შესახებ ზოგიერთი დირექტივები გადასცა გამგეობის წევრს გოგოლაძეს.

— ოსმალები ხოფიდან ჯარებს საბერძნეთის ფრონტზე გზავნიან. (ბ. გ.)

— ექვსი აპარელი, რომელნიც ოსმალთა მთავრობის მიერ შიდა ოსმალეთში იყვნენ გაგზავნილნი, უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში. ეს მხოლოდ პირველი პარტიაა გადასახლებულთა. მოელიან ახალ პარტიას.

— ნავთსადგურიდან თფილისში დიდძალი შაქარი გაიგზავნა. („ს. ს.“)

„წითელ“ სომხეთში

(გაზეთებიდან).

ანარქია. სომხეთის სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად სომხეთში სრული ანარქიაა: მთავრობის ყველა აპარატები ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ დანგრეულია. დაწესებულებათა მოსამსახურენი და ინტელიგენცია გაიქცნენ; ბოლშევიკებს არა ჰყავთ კაცები, რომელთაც შეეძლოთ სათანადო მუშაობის წარმოება. („აშხ.“).

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

ინჟინრების დიქტატურა ქარხნებში, ტერორი პოლიტიკურ ბრძოლაში. გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატიის ყრილობაზე ამხ. მარტოვი თავის ვრცელ სიტყვაში ბოლშევიკი ზინოვიევის სიტყვის შემდეგ შეეხო საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას და, სხვათა შორის სთქვა:

„საბჭოთა მთავრობამ მუშათა თვითმართველობა ქარხნებში, რაც ჰპოულობდა თავის გამოხატულებას საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების მოღვაწეობაში, შესცვალა ინჟინერების დიქტატურით და რუსეთის მუშების უმრავლესობის შრომის მილიტარიზაცია მოახდინა“.

შემდეგ მარტოვი შეეხო ბოლშევიკურ ტერორს და სთქვა: „საკითხი ისაა, დასაშვებია თუ არა სოციალისტური პარტიის მიერ ტერორისთვის მიმართვა მოწინააღმდეგე პარტიებზე და კლასებზე ძალდატანების მიზნით და დამნაშავისა და უდანაშაულოს განურჩევლათ დახოცვა. ურიცკის მოკვლის და ლენინზე თავდასხმის შემდეგ, რომლებიც მოწყობილი იყო კერძო პირების მიერ. დახვრიტეს 800 კაცი, ესენი დატუსაღებულნი იყვნენ ამ აქტების მოხდენამდე; უმრავლესობა მათგან იყვნენ ოფიცრები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ ამ ამბებთან, და რომლებიც დატუსაღებულნი იყვნენ რევოლუციისადმი არა თანაგრძნობის გამო. მათ რიცხვში შემთხვევით მოხვდა ჩვენი პარტიის წევრიც, ახალგაზრდა მუშა: მელითონე კრაკოვსკი. ზინოვიევი ვერ უარყოფს აგრეთვე იმასაც, რომ ამგვარ დახოცვას ჰქონდა ადგილი რუსეთის ყველა ქალაქებში ცენტრალური მთავრობის ინიციატივით. (შინაგან საქმეთა კომისარის პეტროვსკის ცირკულიარი.)

„ზინოვიევი ამბობს, რომ რუსეთის ტერორის წყაროს წარმოადგენს ომის მიერ დათესილი სისატიკე და უხეშობა. ეს მართალია, მაგრამ, როდესაც ბელადები, როგორც ზინოვიევი, ტროცკი და ბოლშევიკური პრესის ჟურნალისტები უქადაგებენ ხალხს ტერორს ყველა მოწინაღმდეგეთა წინააღმდეგ, მათ რიცხვში,—სოციალისტების წინააღმდეგაც, რომლებიც პროპაგანდას მშვიდობიან საშუალებებით აწარმოებენ, მაშინ ეს ბელადები დამნაშავენი არიან იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ ხალხის ზნეობრივათ გათახსირებას.

მასიური დატუსაღება, გაზეთების და ყოველივე კრებების აკრძალვა, ციხეში გამომწყვდევა და იძულებითი სამუშაო უსამართლოთ, მუშების ყოველდღიური დევნა გაფიცვებისა და კოლექტიურ პეტიციებისათვის, აკრძალვა მუშებისათვის საბჭოში განსაზღვრულ პარტიის წარმომადგენლების არჩევისა და ბოლოს როგორც ეს თვით ზინოვიევმა აღიარა, ფრონტზე გაგზავნა იმ კომუნისტი მუშების, რომლებიც ბელადებს კრიტიკას უწევდენ, აი ის ტერორი, რომელსაც აღიარებს მე-3 ინტერნაციონალი.

მარტოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მისი ასეთი გამოსვლის გამო რუსეთში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მოელის დევნა-შევიწროება. „ყოველ ეჭვს გარეშეა, სთქვა მან, რომ ვიდრე მე რუსეთში დავბრუნდებოდე, ყოველი ჩემი სიტყვისათვის, რომელიც აქ კომუნისტების წინააღმდეგ წარმოვსთქვი, ჩემს ამხანაგებზე იძიებენ შურს ბოლშევიკები. იმ ამხანაგებზე, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ციხეებში მრავლათ არიან გამომწყვდეულნი“.

მუშის პასუხი

ახლოვდება საქართ. სახაზ. რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობის არჩევნები, და კიდეც ალაპარაკდენ სხვადასხვა პარტიები, რომლებსაც უნდათ ამოყონ თავი ყრილობაზე როგორც მუშათა დამცველნი. ამ მიზნით ისინი აღნიშნავენ გაზეთის ფურცლებზე მუშების აუტანელ მდგომარეობას და გვპირდებიან ყოვლათ აშენებას და გადარჩენას იმ ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება განსაკუთრებით ჩვენის გზის მუშათა კლასი. ერთი ასეთი ყოფილა საქ. სოც. ფედერალისტთა პარტია, რომელიც თავის საარჩევნო მოწოდებაში თავის პარტიის სარეკომენდაციოთ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ პირდება მინიმუმს ჯამაგირისას 20,000 მ. თვეში, 2 გირვანქა პურს სულზე დღეში და სხვა და სხვა.

ჩვენ, მუშებმა, უნდა მოვახსენოთ ამ პარტიას, რომ ჩვენში მუშათა კლასი ისე არ დაცემულა, რომ ფედერალისტთა პარტიის აპეკუნობა და დაცვა სჭიროდეს და სოც.-ფედერალისტებს მისცეს მან ხმა. ეს არ მოხდება მით უმეტეს ეხლა, როდესაც მუშათა კლასს ჰყავს თავისი წიაღიდან შექმნილი ორგანიზაციულათ დარაზმული მუშათა პარტია სოციალდემოკრატია, რომელმაც დაანახვა საქართველოს დემოკრატიას თავისი მუშაობის ნაყოფიერება. მათი მუშაობის ნაყოფია ის, რომ საქართველოს მუშების საერთო მდგომარეობა შეძლებისა და გვარათ გაუმჯობესებულია და ეკონომიურადაც ის იმდენათ არ არის დაქვეითებული, რამდენათაც ეს შესაძლებელია ჩვენს პირობებში. ამისათვის ჩვენ რკინის გზის მუშები სავსებით ვენდობით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მხოლოდ მას ეკუთვნის ის სწორი გზა, რომელმაც არა ერთხელ დაგვიხსნა ფიზიკურ განადგურებისაგან.

ჩვენ კარგათ შეგვიძლია თეთრის და შავის გარჩევა და არ წამოვეგებით

მეფის გულსაც მისწვდა იგი,
მეფის ცრემლიც დაიღვარა;
დაუძახა კარის კაცსა
და მგოსანი დაიბარა.

10.

ზღაპრულ კოშკში სიჩუმეა,
ზღაპრულ კოშკში თითქოს ბნელა;
გულ-მღელვარებს დედოფალი,
მასთან ერთად ღელავს ყველა.

11.

დუმილია. ჩუ, მგოსანი
ფეხ-აკრეფით მოდის ნელა;
მოდის და თან მოანათებს
ვით შვიდფერი ცისარტყელა.
შემოვიდა. ყველა იქ მყოფთ
ვით წესია, მიესალმა.
მის ელვარე თვალთა ხედვას
ვერ გაუძლო დედოფალმა,
ძირს დახარა მორცხვად თავი
მგოსნის ეშხით გონ-დამთვრალმა.

მგოსანი.
რას მიბრძანებთ, ხელმწიფეო!
მეფე.
გთხოვთ დაბრძანდეთ!
მგოსანი.
ხელმწიფეო…
მეფე.
მერიქიფევ, ჩქარა, ღვინო!
მგოსანი.
ხელმწიფეო! თქვენა გნებავთ .
მეც ღვინო ვსვა და ვილხინო?
მეფე.
დიახ, დიახ!
მგოსანი.
ვერა, მეფევ!
მეფე.
საწყენია…
უღვინოდ ხომ
ვერ დაუკრავთ გრძნობით ჩანგსა.
მგოსანი.
ვერც ღვინით და ვერც უღვინოდ.
მეფე.
რად?!
მგოსანი.
მისთვის, რომ შხამ-საწამლავიც
ურევია ჩემს ტკბილ ჰანგსა.
დედოფალი.
მაინცა გთხოვთ.
ყველანი.
გთხოვთ! გთხოვთ, ყველა!
მეფე.
აბა-აბა!
მგოსანი.
რა ვქნა…
დედოფალი.
გისმენთ.
მგოსანი.
მეფევ! როცა შენს გარშემო
ისმის მოთქმა, ისმის ზარი;
როს წალეკვას გემუქრება
სისხლისა და ცრემლის ღვარი;
როს უმწეო ერი შენი
ველარ იტანს მეტს დამშევას,
და მრისხანე გულის წყრომით
შორით გითვლის კრულვა-წყევას—
შენ აქ ლხინობ!—
ფრთხილად, მეფევ!
საშიშია ზოგჯერ ხალხი
ზეცის რისხვად არ დაგატყდეს
მათი დრტვინვა და ვაგლახი!
მეფე.
არამზადავ! ეხლავ ხელით
ამოგგლეჯავ მაგ მყრალ ენას!
დედოფალი.
შესდექ, მეფევ!
მეფე.
ეს რას ნიშნავს?!
დედოფალი.
ნუ ინებებ მართლის დასჯას!
მეფე.
მართლისაო?!
დედოფალი.
დიახ, მართლის!
მეფე.
ეი, დარაჯნო! ჩქარა, თოკი!
დედოფალი.
მეფევ!
მეფე.
ჩუმად!
დედოფალი.
გამიგონე!
მეფე.
ჰმ!.. მიგიხვდი, დედოფალო,
შენს გველობას, შენს ფიქრ-ზრახვებს!
დღეის იქით ამ შენს კუროს
ველარავინ დაგანახვებს!
მგოსანი.
კმარა, მეფევ!
მეფე.
გაათრიეთ!
დედოფალი.
ღმერთო, ჩემო…
მგოსანი.
გზა მომეცით!
მეფე.
დაამწყვდიეთ!
დედოფალი.
მი.. მიშველეთ…
წვეულები.
წყალი!.. წყალი!..
მეფე.
დედოფალო… დედოფალო…
დარაჯი.
მბრძანებელო!
მეფე.
დამეხსენით!!!
დარაჯი.
მბრძანებელო! პატიმარი…
მეფე.
გარდიცვალა…
დარაჯი.
დიახ, გზაში გარდიცვალა.
მეფე.
ჩამოახრჩეთ! ხმლით აჰკუწეთ!
წვეულები.
ვინა, მეფევ!
მეფე.
ვინ და, ის! ის!!!
დარაჯი.
მოკვდა იგი.
მეფე.
რაო, რა სთქვი?
დარაჯი.
მოკვდა იგი.
მეფე.
ვინ!
დარაჯი.
მგოსანი.
მეფე.
როგორ!..
დარაჯი.
შუბლში ტყვია დაიხალა.
მეფე.
ჰა-ჰა-ჰა-ჰა!
დედოფალი?
წვეულები.
გარდიცვალა.
მეფე.
ჰა-ჰა-ჰა ჰა!
წვეულები.
საცოდავი..
მეფე.
ჰა-ჰა-ჰა-ჰა!
წვეულები.
ელდით ქვეყნზე შეიშალა.
მეფე.
ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ხა-ხა-ხა ხა!!!

12.

ცად აზიდულ
კლდის მწვერვალზე
არწივების მოსჩანს ბუდე
და საშიშარ
მის ნაპრალზე
უშიშრად სდგას
კოშკის ზღუდე.
ჟამთა დენით,
დროთა ფრენით
დასდებია კედლებს ხავსი,
და უცნაურ
ღრმა მოწყენით
ნისლს იბურავს
სფინქსის მსგავსი.
გაუქმებულ ამ ძველ კოშკში,
მტვერ დადებულ ერთს კედელზე,
სადაც თურმე ობობები
დაცოცავენ გაბმულ ქსელზე,—
ჩანგიაო დაკიდული,
ვილაც მგოსნის ოქროს ჩანგი
და წლის თავზე, ისიც ერთხელ,
გაისმისო მისი ჰანგი.

გ. ქუჩიშვილი.

თქვენ მიერ ნასროლ ანკესზედ. თქვენი თეთრ ქაღალდზე დაწერილი დაპირებები და ნატიციები ჩვენ ვერ აგვაცდენს იმ ნაცად გზას, რომელსაც ჩვენ სავსებით ვართ გაცნობილი. ვიცით ჩვენი აუტანელი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავადგებით იმ უუსკრულის გზას, რომელსაც ჰქვიან წუთიერი გამარჯვება და სამუდამოთ დამარცხება; ასეთი გზა თქვენთვის დაგვილოცნია. ჩვენ კი გვყავს ჩვენი ნამდვილი მუშათა დამცველი პარტია სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ვაძლევთ ჩვენ ხმას.

გაუმარჯოს ს. ს.-დ. მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს მის სწორ გზას სოციალიზმისაკენ!!!

მუშების მინდობილობით მუშა **დ. ჩ.**

იოსებ ყაჭიეშვილი

ამხანაგი იოსებ ყაჭიეშვილის უდროოთ დაკარგვას ცხარე ცრემლებით დავტირით.

იოსების თავგადასავალი დიდათ საინტერესო და საყურადღებოა პარტიულ მუშაკთათვის. აქ არ შეიძლება მისი პიროვნების და პარტიული მოღვაწეობის დაფასება, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის იყო საყურადღებო პიროვნება.

ახალციხის მაზრაში მუშაობის დროს განწყვენებულმა იოსებმა სამართლიანად დაიმსახურა ქართველ მაჰმადიანთა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

იქ, ძველ მესხეთში, ამხ. იოსების უდროოდ დაკარგვის ამბავი გულწრფელ მწუხარებას გამოიწვევს.

თედორე და პელაგია კიკვაძეები.

საქართველოს სავათმყოფო კასების პირველი კონფერენცია

ამ დღეებში დასრულდა სრულიად საქართველოს სავათმყოფო კასების პირველი კონფერენცია.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ მუშათა სოციალური დაზღვევის შესახებ გარკვეული კანონების უქონლობის გამო საქართველოში ცუდათ იქნებოდა საზოგადოთ მუშათა დაზღვევის და კერძოთ არსებულ სავათმყოფო კასების საქმე...

კონფერენციამ ეს წინასწარი ეჭვი ნათელჰყო: მოხსენებიდან გამოირკვა, თუ რა უმწეო მდგომარეობაში არიან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი სავათმყოფო კასების უმრავლესობა და თუ როგორ ხელფეხს უბოჭავს მათ ჩამოუყალიბებელ კანონების უქონლობა—ერთ მხრივ და ცენტრიდან ინსტრუქციის მიუღებლობა მეორე მხრივ.

მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა კონფერენციამ მაინც გადაგვიშალა რამოდენიმე სასიამოვნო სურათი: პირველი მიუხედავათ მუშათა სოც. დაზღვევის საგრძნობათ ჩამორჩენისა, ჩვენში მაინც ყოფილან ისეთი პრაქტიკული მოღვაწენი, როგორებსაც ჩვენ ვხედავთ ევროპაში და რუსეთში. და უნდა ვიფიქროთ, რომ იმდენათ, რამდენათაც სოციალურ დაზღვევის კანონმდებლობა და პრაქტიკა ჩვენში წინ წავა, იმდენათვე ამ პრაქტიკულ მოღვაწეთა რიცხვიც გაიზრდება.

მეორე და უფრო ყურადღების ღირსი მოვლენა ის არის, რომ კონფერენციამ მეტათ სერიოზულათ მოეპყრო ყველა იმ კითხვებს, რომლებიც „საორგანიზაციო კომისიამ“ მის დღის წესრიგში დასვა. ყველა ამ კითხვებზე გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუციები (იხ. „ერთობა“). საინტერესოა ამ შემთხვევაში კონფერენციის თვალსაზრისი. კონფერენციამ „მუშათა სოც. დაზღვევის სახელმწიფო ზომებით მოწესრიგების“ შესახებ კითხვის გარჩევის დროს პირველ ყოვლისა ანგარიში გაუწია სახელმწიფოს ეკონომიურ და სამეურნეო ძალების მდგომარეობას.

ეს მოვლენა ბევრის მაჩვენებელია: ეს არის, თუ გნებავთ, ის „ეგზამენი“, რომელიც მუშათა ორგანიზაციებმა უნდა დაიჭირონ საქართველოში.

კონფერენცია ხმის აბსოლიუტური უმრავლესობით მიიღო შრომის სამინისტროს თეზისები. მან შეუძლებლათ სცნო არსებულ პირობებში მუშების (დაზღვეულების) განთავისუფლება საკასო გადასახადისაგან; შეუძლებლათ მიაჩნია მას აგრეთვე დღესვე დაზღვევის გავრცელება შრომის ყველა დარგზე და ავათმყოფობის დროს სრული ხელფასის უეჭველად მიცემა.

რაც შეეხება დაზღვევის ყველა სახეების შემოღების საკითხს,—აქაც კონფერენციამ ცლიარა თანდათანობის პრინციპი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მან გადაჭრით მოითხოვა მთელი რესპუბლიკის დამზღვევ ორგანიზაციების სრული ნაციონალიზაცია და სახელმწიფო ენის მტკიცეთ დაცვა.

კონფერენციის მუშაობაში მაინც არის ერთი დიდი ნაკლი, თუმცა ეს უფრო ყოფილ „საორგანიზაციო კომისიის“ ბრალი უფროა, ვინემ თვით კონფერენციისა. ყველამ იცის, რომ დიდმა რევოლიუციამ გააუქმა დამზღვევ ორგანიზაციების ყველა საზედამხედველო ორგანოები: დამზღვევი საკრებულოები და მუშათა დაზღვევის საბჭო.“

ჩვენში ყველა ეს ფუნქციები დროებით მისაკუთრებული აქვს შრომის სამინისტროს და ეს კი, ჩვენის აზრით, მეტათ არანორმალური მოვლენაა. აი, სწორეთ ამ საკითხზე უნდა გაეცა შესაფერი პასუხი კონფერენციას; მაგრამ რადგანაც „საორგ. კომისიამ“ მას ამის შესახებ შესაფერისი მოხსენება არ წარუდგინა, კონფერენციამაც მას გაკვრით შეეხო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი შედარებით რთული საკითხია და საჭირო იქნება ის გამუქებულ იქნას პრესაში.

ამალი.

ს.-დ. პარტიაში

(დასასრული)

გორი. ოქრუაშვილი აღნიშნავს, რომ კოლექტივი სისტემატიურათ იკრიბება, ყველა ბრძანება მთავრობისა და მობილიზაცია უმთავრესათ ორგანიზაციულმა აგიტაციამ საუცხოვოთ ჩაატარა. წევრი 280 კაცია, უმთავრესათ მიწის მუშები და ხელოსნები. სხვა პარტიების ორგანიზაციები არ არის. არიან ჯგუფები დაშნაკელებისა, რომლებიც ჩუმათ მუშაობენ. არის ჯგუფი ნაციონალ-დემოკრატიისა, უმთავრესათ ძველი ფეოდალები, რომლებიც შხამიანათ იკბინებიან. ჰქმნიან ინსინუაციებს, აყალიბებენ სხვადასხვა ფორმებში და ცდილობენ გვებრძოლონ ჩვენივე კანონებით. მაგრამ ამ სოფლის ფეოდალ „ჩანგლების“ გამარჯვება ცარიელი ოცნებაა. აგრარული რეფორმა აწეწილი ყოფილა. საგანგებო რევიზიის მეოხებით რეფორმამ სასურველი ხასიათი მიიღო. ირკვევა მრავალი „პოდლოგები“ ჩადენილი მემამულეთა და სხვათა მიერ ხალხი არ ენდობა ჩვენი პარტიის გარდა არავის. პარტიული უბნების დასაარსებლათ მიღებულია ზომები.

დავითაშვილის სიტყვიდან ატენში სიწყნარეა. ორგანიზაცია ახალი დაარსებულია და მისი მუშაობის ნაყოფი ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერია. დაწყებისას იყო 30 წევრი, ეხლა არის 60.

ცდილობენ გაზარდონ და გაამაგრონ ატენის ორგანიზაცია, მაგრამ მარტოთ მარტო უძლურებათ. საჭიროა დახმარება პროპაგანდისტისა.

მ. ხვილაძის სიტყვით შინდისის სათემოში პარტიული მუშაობა ძლიერ მიძინებულია. აქ დაარსდა ორგანიზაცია 8 თვის წინათ და ვერ გაზრდილა მრავალი მიზეზების გამო. საერთოდ ხელს უშლიდა მობილიზაციები, ინტელიგენტური ძალების უყოლობა. არიან თითო ოროლა სოფლის მასწავლებლები პარტიაში, მაგრამ სრულებით არ აინტერესებთ პარტიული მუშაობა. ეხლახან დაარსეს ჩვათაძემ და ეფრემიძემ საქაშეთის საუბნო ორგანიზაცია. სულ ორ ადგილას არის ორგანიზაცია—საქაშეთში და შინდისში. თუ დახმარებას გაუწევს სამაზრო კომიტეტი, შეეცდებიან სხვა უბნებშიც ორგანიზაციების მოწყობას.

ეფრემიძე აქეთებს მოხსენებას გორიდან. ირკვევა, რომ მიწის ძვრის შემდეგ ძალები მოკრებილა, ორი კოლექტივი აღდგენილა. წევრები ჯერ-ჯერობით 300 კაცამდეა. დაარსებულა საპროპაგანდო კოლეგია, რომელიც მუშაობს წრეებში და ძალებმა თუ არ უსუსტოს, შესაძლოა პროვინციაში გადიტანონ თავისი მოქმედება. დაარსდა ახალგაზრდა მარქსისტთა წრე. საწევრო გადასახადების შემოტანის შეფერხება გამოწვეულია ტეხნიკური მიზეზით და ახლო მომავალში შეეცდებიან ამის გამოსწორებასაც.

მოხსენებები დამთავრდა და იხსნება კამათი.

გაგელოვი გიორგი. მოხსენებებიდან იგულისხმება, რომ სისტემა ორგანიზაციების შექმნისა და მათში მუშაობისა ყოფილა უბრალო დემოკრატიული.

აგრეთვე არ შეიძლება განურჩევლათ ყველას პარტიაში მიღება. მუშაობა ორნაირია—დემოკრატიული და სოც.-დემოკრატიული. უკანასკნელი მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ უმთავრესათ ღატაკ გლეხებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პარტიული მუშაობა იქნება უბრალო დემოკრატიული.

კლდიაშვილი. გეზი, რომელსაც მისდევს სოფლის ორგანიზაციებში მოქცეული გლეხობა პროლეტარიატის წამოყენებულია. დანარჩენი გლეხობაც მის უჭერს მხარს. დაპირდაპირების ხელოვნურათ გაღვივება ჩვენს თეორიას ვერ გაამართლებს. პირიქით დღევანდელ ხანაში შეჰქმნის არევ-დარევას, დაარღვევს პროლეტარიატთან პოლიტიკაში მთლიანობას.

რაც შეეხება კლასებათ დაყოფას, სოციალიზმის დამყარებას, ეს მოხდება ეკონომიურათ გარდაქმნის პროცესში და დაპირდაპირებაც თავისთავათ მოხდება პროლეტარიატს მაშინ ექნება მეტი შესაძლებლობა არ შეუშინდეს ანტაგონიზმის შეტანას.

ხუნდაძე. ჩვენი პარტიული მუშაობა არის თანამედროვე მომენტთან შეწონილი და აქედგან სისტემაც ამნაირი უნდა იყვეს.

ილია ბადრიძე. მოხსენებიდან სრულებით არა ჩანს, რომ პარტიაში ყველას იღებდნენ. პირიქით, იქცევიან იმაზე უფრო მკაცრათ, ვიდრე ეს წესდებაში სწერია. აქ უკვე იმით კი არ კმაყოფილდებიან, რომ თავდებით მიიღონ მხოლოდ, არამედ მიღებულ წევრებს ამტკიცებს კოლექტივები და მთელი კრებაც. ის ფაქტი, რომ გაურიცხავთ უფრო მეტი, თითქმის ორმოცამდი, ვიდრე მიუღიათ, ამტკიცებს, რომ განურჩევლათ ყველას არ ღებულობენ.

ჩვენს გლეხებში დიდი სხვა და სხვაობა არ არის ქონების მხრით. ყველა წვრილი მესაკუთრეა და თავისი შრომით ცხოვრობს. აი, ამ გლეხებში არიან ისეთები, რომლებიც, ქონებრივათ, ზნეობრივათ პარტიას იმსახურებიან. უნდათ, რომ ემსახურონ და თუ კი ისინი ჩვენ წესდების პირველ მუხლს შეასრულებენ, პარტიაში მიღებაზე უარს ვერ ვეტყვით. მეთოდი, რომ ღატაკები მივიღოთ და დანარჩენს თავისი შრომით მაცხოვრებელს, საკუთარ ერთ ნაჭერ მიწაზე, კი უარი უთხრათო, მთლათ დაგვიფრთხობს სოფლის დემოკრატიას და ჩვენი პარტია გავლენას დაჰკარგავს.

კამათში სხვა ამხანაგებიც ღებულობენ მონაწილეობას.

მომავალ კოოპერატორთა ყრილობის შესახებ ი. გაბუნია აქეთებს მოკლე მოხსენებას და მოუწოდებს ორგანიზაციებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატთა არჩევნებში. კრება უკამათოთ ღებულობს თავმჯდომარის განცხადებას.

ფრონტის დამხმარე კომიტეტების დაარსების და მათ დახმარების შესახებ ლაპარაკობენ მთელი რიგი ორატორებისა და აღუთქვამენ მთელი პარტიული ძალების დახმარებას ფრონტის დახმარების მოსაწყობათ.

გორის სოლქო შტაბის წევრთა კანდიდატურის წამოყენების საკითხს კომიტეტის კრება მომავალ არჩევნებში ანდობს ბიუროს.

მიმდინარე კითხვებში იყო განცხადება ბიუროს წევრის და პროპაგანდისტის ქვათაძისა და ოსებში მუშაობის შესახებ, რომლის შესახებ მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

დადგენილებები.

მომენტის შესახებ: მოისმინა რა მოხსენება ვასო ცაბაძისა, კრება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავის და ხალხის ამორჩეულ დამფუძნებელ კრებასთან და მთავრობასთან იქნება.

— ბიუროს მუშაობას კრება ნაყოფიერათ სთვლის.

— ადგილებიდან მოხსენების შემდეგ, კრება აცხადებს, რომ ორგანიზაციული მუშაობა სწარმოებს ნაყოფიერათ და ამის შესახებ ცეკას წევრის ი. ბადრიძის წინადადება, რომ კომიტეტის საქმიანობა პარტიულ მუშაობაში დამაკმაყოფილებელია, მიღებულ იქნა ერთხმად.

— კოოპერატორთა ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნებში კრება წინადადებას აძლევს ორგანიზაციებს მიიღონ ენერგიული მონაწილეობა.

— ფრონტის დამხმარე კომიტეტების მუშაობა - დაარსებას ორგანიზაციების ყველა ძალები ეხმარებიან.

— განცხადება ქვათაძისა და ოსებში მუშაობის დაწყების შესახებ ბიურომ მიიღოს შესაფერი ზომები.

— „ახალი სხივის“ შესახებ კრება ადგენს (ორი თავს იკავებს) ს. ს. დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტმა იქონია რა მსჯელობა „ახალი სხივის“ ჯგუფის ცალკე არსებობის შესახებ, რომლებიც არავითარ პრინციპიალურ განსხვავების დავას არ აწარმოებენ პარტიის მიერ აღებული მთავარი ხაზის მიმართ ერთის მხრით და მეორე მხრით კი „ახალი სხივი“ ათავსებს ისეთი შინაარსის წერილებს, რომლებიც არა თუ არ არის კრიტიკა პარტიის შიგნით, რომელიც მუდამ საჭირო არის და იქნება, არამედ ისეთი შინაარსის წერილების მოთავსებით როგორიც „ქალარას“ წერილია ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას უადვილებენ ყველა იმ პარტიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოც.-დემოკრატიის დაუძლურებით.

პარტიული დისციპლინის მთლიანობის და საქმიანობის დასაცავათ კრება ადგენს, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციებისაგან მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები რათა კრიტიკა სწარმოებდეს პარტიის შიგნით და მის ერთერთ ორგანოში, როგორც ეს იყო მუდამ წარსულშიაც. რომ ყველა ჯგუფური გამოსვლები მიაჩნია მას მიუღებლათ და პარტიული მთლიანობის დამარღვეველ ჩანასახათ, ამიტომ მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ხელმძღვანელ ორგანიზაციებისაგან სალიკვიდაციო ზომების გამოსანახავათ.

მოხუცალი რამველი.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

16 დეკემბერს პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა ფრონტის დამხმარე კომიტეტში საბჭოს წარმომადგენლის მოხსენება 25 და 26 დეკემბერს ფრონტის სასარგებლოთ ბელამარში, ნაძალადევში და სასახლის წინ „შობის ხის“ მოწყობის შესახებ. სეკრეტარიატმა დაადგინა აცნობოს თფილისის მუშათა კლასს პროფ. კავშირების საშუალებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ დღის მოწყობაში და სასურველად ჩატარებაში.

— —

საქართველოს დემ. საგენტოს წინადადებით სეკრეტარიატმა დაადგინა მოაწყოს ვაგზლის, ავლაბრისა და მაიდანის რაიონებში მუშათათვის ინფორმაციის საქმე. ამ მიზნით ხსენებულ რაიონებში გამოკიდებული იქნება ფურცელი უკანასკნელი ამბების აღწერით.

— —

სეკრეტარიატმა დაადგინა—მუშათა წარმოდგენების ბილეთების ფასი გადიდებულ იქნას 5 მანეთით, რომელიც გადაიდება სეკრეტარიატის კულტურულ განმანათლებელ ფონდის გასაძლიერებლათ.

— —

სეკრეტარიატის დადგენილებით, თეატრების მუშა-მოსამსახურეთა სექცია დატოვებულ იქნა სცენის მოღვაწეთა პროფესიონალურ კავშირში.

— —

ვინაიდან თავისუფალი ოთახების უქონლობის გამო ყველა პროფესიონალური კავშირები ვერ მოთავსებულან მუშათა სასახლეში, ამიტომ სეკრეტარიატმა დაადგინა გაანთავისუფლოს მე-5 სართული, რომელიც ეხლა უჭირავთ პროფ მოძრაობის მომუშავეთ. ხსენებულ სართულში მოთავსებული იქნება პროფ. კავშირები.

მუშათა შორის

ბათომი. ვაგონების დამტვირთავ გადმომტვირთავი მუშების პირობები მეტათ მძიმეა. 8 საათის განმავლობაში მათ უხდებათ მძიმე ტვირთის ატანა და გადმოტანა. ასეთი მუშაობა ხშირათ იწვევს მუშების დასახიჩრებას. ხელ ფასი მეტათ მცირეა და მუშები მოკლებული არიან ხეირიან სმა ჭამას, რის გამოც მათ ყოველდღიურათ ეტყობათ ფიზიკური ძალის დაკარგვა. ისინი მეტად ცუდ და აუტანელ მდგომარეობაში არიან ბინაობის გამო და იძულებულნი არიან საქონლის ცივ ვაგონებში იცხოვრონ, რის გამო მუშები ცივდებიან და ავათ ხდებიან.

რკინის გზის ადმინისტრაცია უდანაშაულოთ ითხოვს სამსახურიდან საიმედო მუშებს. ასეთი შემთხვევები იყო უკანასკნელ დროს, როცა მუშები საპატიო მიზეზით ერთი ან ორი დღე ვერ მოვიდნენ სამსახურში.

მასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირათ რკინის გზის ადმინისტრაცია მუშებს ისეთ საქმეს ავალებს, რომ მათ არ ეკუთვნის და მუშებში მღელვარებას იწვევს.

ყოველივე ამ გაჭირვებას იტანს მუშები, ვინაიდან ისინი ანგარიშს უწევენ დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობას და მხარს უჭერენ მთავრობას. საჭიროა ხსენებულ მუშების მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ და რამდენათაც შესაძლებელია გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა.

ბათუმელი.

პროვინცია

ქარელი. სკოლის გარეშე განათლების სახელმძღვანელოთ გორის მაზრაში ერობის დადგენილებით დაინიშნა ლექტორი ალ. გარსევანიშვილი.

15 ოქტომბერს მის თაოსნობით აქ დაარსდა სახ. უნივერსიტეტის საზოგადოება. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია ექიმი დ. ჟორდანია, მის თანაშემწეთ არ. დეკანოზიშვილი, მდივნათ გ. კოშორიძე (მოსამართლე) და მოლარეთ ნ. ჰელიძე (სადგურის უფროსი).

6 ნოემბერს მოხდა სახ. უნივერსიტეტის წევრთა მესამე საზოგადო კრება. ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია საქართ. ისტორიიდან.

ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

ლექციის შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი სახალხო უნივერსიტეტის საქმის მოგვარების შესახებ. განსაკუთრებით კრება შეეხო ადგილობრივ თეატრის გადაკეთების საკითხს.

კრებამ გადასწყვიტა დღეიდანვე შეუდგეს ახალ თეატრის აშენებას, რისთვისაც აირჩიეს კომისია, სადაც გამგეობის გარდა კიდევ სამი წევრი შევიდა: გ. ბაქრაძე, ბ. ბაძელიძე და ს. ქვრივიშვილი.

კომისიას სწამს, რომ საქმეს მალე მოაგვარებს. ადგილობრივმა მცხოვრებმა იასონ ყიფიანმა აღუთქვა კომისიას 30 ათასი მანეთი. თეატრისთვის მასალა უკვე მზათაა.

კომისიავე დაევალა მოახდინოს წერა-კითხვის უცოდინართა რეგისტრაცია (18 წ.—35 წლამდე) და მოაწყოს საანბანო განყოფილება. ახალი კულტურული მუშაობა დიდ თანაგრძნობას იწვევს მცხოვრებთა შორის. უნივერსიტეტის წევრთა რიცხვი მატულობს.

ქართლელი.

— —

საჩხერის რაიონი. საჩხერის რაიონის მცხოვრებლებმა 12 დეკემბერი ღირსეულად იდღესასწაულეს. მცხოვრებნი დილის 11 საათზე გაეშურნენ თემის სამმართველოსკენ, სადაც თავი მოიყარა ადგილობრივმა მოწაფე-ახალგაზრდობამ, მასწავლებლებმა და სხვ. შესაფერისათ იყო მოწყობილი თემის სამმართველო და სახალხო გვარდიის შტაბი. თემის სამმართველოდან ხალხი დროშებით და სიმღერით გაეშურა სადგურისაკენ, სადაც მოვიდა საჩხერის რაიონის სახალხო გვარდია; აქედან დემონსტრაცია მწყობრათ გაემართა ბაზრისაკენ; თემის სამმართველოს წინ გაიხსნა მიტინგი.

მიტინგზე ილაპარაკეს კ. კაპანაძემ, ამხ. ქუმბურიძემ ს.-დ. კოლექტივის სახელით და სხვებმა. ორატორები შეეხნენ გვარდიის მნიშვნელობას და ღვაწლს სამშობლოს წინაშე, რის შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

შ. ხვადაბუნელი.

— —

ს. ჭიორა. (ზემო რაჭა) 14 ნოემბერს ს. ჭიორაში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დაიდგა სამ მოქმედებიანი დრამა—„ელეონორა“ (ყაზბეგის, გადმოკეთებული გერგესელის) და ერთ მოქმედებიანი კომედია „ფარნაოზის მესამე ცოლი“; დამსწრე საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

იმედია, სცენის მოყვარენი მომავალშიაც ენერგიულათ განაგრძობენ მუშაობას.

ჭიორელი.

ცნობები

ქალაქ ბათომში ნოემბრის პირველ რიცხვებში დავკარგე სხვადასხვა ქაღალდები, მათ შორის მოწმობა პირადობისა ქვათურა-საჩხერის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბისა № 913, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულათ.

საჩხერის რაიონის სახალხო გვარდიელი არმენაკ გიგოს ძე მღებროვი.

რედაქტორი **ლევან ნათაძე**

განცხადებანი

სპეციალისტი
მასწავლებელი
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამარსებელი
მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაბელი ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის და ვადგენ საღამოს ჯგუფს
ოთხი კლასის მოწმობაზე
მოსამზადებლად. ჩაწერა 9—12 საათ. 4—6 ს. პლეხანოვის ქუჩა 25 (შეს. ველი ალექსის ქუჩ. 5). (4030—3—3)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი შ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი ნ დიგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 [illegible] მიღება დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 23. (7 იანვ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
სავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პრ. ლექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—9 7 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ჟორდანიას ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—იანვ).

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სანატორია „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმი
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-მებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით, პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მიხაილის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

ქ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

მე სევასტი მიხარბეგის ძე რამიშვილმა 13 ამა დეკემბერს საღამოს ფოთის მომავალ მატარებლით თფილისის სადგურში
დავკარგე
ტყავის პორთფელი, რომელშიაც იყო შემდეგი: 1, ჩემი უვადო ბილეთი მოცემული ფოთის პოლიციის სამმართველოს მიერ, 2, ორი ვექსილი თითო ასი ათას მანეთიანი სოხუმის კოოპერატივის „ზარია“-ს გამგეობის ხელმოწერილი, 3, სამი რკინის გზის დუბლიკატი, 4, ერთი ნოტარიული პირობა მოცემული ჩემზე სოხუმის კოოპერატივის „ზარია“-ს გამგეობის მიერ. 5, მეორე ნოტარიული პირობა სოხუმის რაიონული კოოპერატივის კავშირის გამგეობის მიერ, 6, სოხუმის მუშათა მაგიდის მოცემული რწმუნებულობა საქონლის მიღების შესახებ, 7, აგრეთვე სხვადასხვა საქონლის ანგარიშების მოცემული კერძო და სხვადასხვა დაწესებულებისაგან. მნახველს ვსთხოვ მოიტანოს შემდეგ მისამართზე: თფილისი, „საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირში“, დიდუბე კოოპერატივის ქ. ან ოლღას ქ. კანტორა „განათლება“-ში და ან სოხუმში კოოპერატივ „ზარია“-ში სევასტი რამიშვილთან. (4045—1—1)

სახლი
მამული, აგარაკი, ვისაც სურს
იყიდოს ან გაყიდოს
მიმართოს
ინტელიგენტთა ჯგუფს
რომელსაც მოწყობილი აქვს დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, რუსთაველის პროსპექტის ახლო. (4053—2—1)